№ 131
ივნისის 19, ხუთშაბათი 1903 წ.
1877

ივერია

№ 131
ივნისის 19, ხუთშაბათი 1903 წ.
1903

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

პირველ ივნისიდან წლის დამლევამდე
გაზ. „ივერია“
ჰღირს 6 მან. 75 კაპ.

გაზეთის „ივერიის“ ფასი თვეობით 12 თვით—10 მან., 11 თვით—9 მ. 50 კ., 10 თვით—8 მ. 75 კ., 9 თვით—8 მ., 8 თვით—7 მ.25 კ., 7 თვით—6 მ. 75 კ., 6 თვით—6 მ., 5 თვით—5 მ. 50 კ. 4 თვით—4 მ. 75 კ., 3 თვით—3 მან. 50 კ., 2 თვით—2 მ. 75 კაპ., 1 თვით—1 მან. 50 კაპ.

ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლისაგან.

მიმდინარე წლის ენკენისთვისათვის ტფილისის სათავად-აზნაურო სასწავლებელში სულ ორმოცდა ექვსი (46) ვაკანსია არის პირველ განყოფილებაში (7 და 8 წლის ყმაწვილისათვის) სხვა განყოფილებებში და გიმნაზიურ კლასებში **არც ერთი თავისუფალი ადგილი არ არის** და ამიტომ არც თხოვნები მიიღება ამ კლასებში ყმაწვილების მისაღებად.

46 ვაკანსიიდან—45 დანიშნულია გარედან მოსიარულეებისათვის და 1 საზოგადოების სრულ ხარჯზე.

საზოგადოების ნახევარ ხარჯზე ჯერ არც ერთი თავისუფალი ადგილი არი არის და შესაძლებელია სექტემბერში, ხელ-მეორე გამოცდის შემდეგ, გაიხსნას.

ვინც საზოგადოების სრულს ხარჯზე იქნება მიღებული, იმას არაფერი ხარჯი არ მოეთხოვება და ვინც ნახევარ ხარჯზე—უნდა იხადოს წელიწადში ათ-ათი თუმანი. ვისაც სურს მიღებული იქმნას საზოგადოების სრულს ხარჯზე, იმან უნდა წარმოადგინოს თხოვნასთან ერთად შემდეგი საბუთის ქაღალდები: ა) წლოვანობის მოწმობა, **მიღებული სინოდალურ კანცელარიისაგან,** ბ) სიღარიბის მოწმობა მაზრის თავად-აზნაურობის წინამძღოლისაგან და გ) ყვავილის აცრის და ჯანმრთელობის მოწმობა.

ვისაც გარედან მოსიარულეთ სურს შემოსვლა, იმისთვის საჭიროა იგივე საბუთის ქაღალდები, გარდა შეუძლებლობის მოწმობისა.

უკეთუ მთხოვნელთა რიცხვი აღემატება ვაკანსიების რიცხვს, იმ შემთხვევაში მსურველთ ადგილი დაეთმობათ წილის ყრით. წილის ყრაში მონაწილეობას მიიღებენ მხოლოდ ისინი, რომელნიც წარმოადგენენ საჭირო საბუთის ქაღალდებს და ამასთანავე ეგზამენსაც დაიჭერენ წლოვანობის შესაფერ კლასისათვის.

სკოლის გამგე კომიტეტი არ მიიღებს იმ ყმაწვილებს, რომელნიც არ წარმოადგენენ მათზე დარჩენილს წინა წლის ფულს და მომავალ სამოსწავლო წლის პირველ ნახევრის სწავლა-აღზრდის ფასსაც.

შესაძლებელია სექტემბერში, მოსწავლეების ხელმეორე გამოცდის შემდეგ, კიდევ გაიხსნას რამდენიმე ვაკანსია იმათთვის, ვინც სრულს საკუთარ ხარჯზე ისურვებს პანსიონში შემოსვლას, ან ნახევარ ხარჯზე.

ვინც საკუთარ ხარჯზე შემოვა პანსიონში, იმან უნდა შემოიტანოს წელიწადში ოცი თუმანი: ათი თუმანი შემოსვლისათანავე და ათიც იანვარში.

ვისაც თხოვნა აქვს შემოტანილი პირველ განყოფილებაში ყმაწვილების მიღებისა,—იმათ 31 აგვისტოსათვის უთუოდ უნდა მოიყვანონ სკოლაში ყმაწვილები ჯანმრთელობის შესამოწმებლად და ქართულ ლაპარაკში გამოსაცდელად.

თხოვნა უნდა შემოვიდეს აგვისტოს 20-მდის; ქალაქ გარეშე მცხოვრებთ თხოვნა უნდა გამოგზავნონ შემდეგის ადრესით: Въ Тифлисъ. Завѣдывающему Дворянской Школой, на Лабораторной улицѣ.

აგვისტოს 25—30 რიცხვებში ხელ-მეორე გამოცდა მოხდება ზოგიერთ მოსწავლეებისა. 1-ს სექტემბერს სწავლა დაიწყება.

დათხოვნილ იქნებიან აგრეთვე ის გარედან მოსიარულე მოწაფეებიც, რომელნიც სკოლაში მოსვლისათანავე არ წარმოადგენენ მომავალ 1903—1904 სამოსწავლო წლის ფულის ნახევარს.

ყველა პანსიონერის მშობლებმა უნდა წარმოადგინონ თავდებნი ტფილისში მცხოვრებთაგანნი, რომელთანაც სკოლის გამგეობას შეეძლოს მიმართვა, როგორც ფულის თავ-თავის დროზედ შემოტანისათვის, აგრეთვე სხვა შემთხვევაშიაც. (10—4)

ექიმი
ვ. ღამბაშიძე
იღებს შინაგან და საბავშვო ავათმყოფით საღამოს 6—7 საათამდე.
ბინა: ბარონის ქუჩა № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან. ტელეფონი 642. (წ.)

კბილის ექიმი
ივანე პავლეს ძე
ახალშენიშვილი
ელისაბედის ქუჩა, 38.
იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 ს. და 11—2-დის, ხოლო საღამ. 5—7-დის. კვირა-უქმეღღეებში 9—2-მდის და საღამ. 5—7-მდის. (წლ.)

კერძო სამკურნალო
ექიმის მუსხელაშვილისა
(გედევანიშვილისეული)
კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21, ავჭალის ქუჩის დასაწყისში.
ტელეფონი № 274.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.
დილით:
მ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.
ნ. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულ. 9—10 ს.
ვ. ღ. ღამბაშიძე—ორშ., ოთხშ.. და შაბათ. 10—11.
ნ. ზ. მაღალაშვილი—შინაგან. სამშაბათობით ხუთშაბათობით 10—11 ს.
ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათ.
დ. ა. გედევანიშვილი—შინაგან, ნერვებითა და ელექტროტერაპია 12—1 ს.
მ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—კვირაობით 10—12 ს.
ბრ. მ. სობოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.
საღამოთი:
ა. ზ. მაღალაშვილი—შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)
მუდმივი ექიმი გ. ღ. ნასარიძე.
რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. (წ.)
46—8 ტელეფონი № 274

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.
დილაობით:
ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო-ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.
უ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფისა.
მ. ზ. ავეტისიანცი. 10—11 საათამდე კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.
ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.
ძ. ი. ზძლიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.
ზ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.
ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგიან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბთაობით და შაბათობით.
საღამოობით:
ნ. ნ. როსტომბეგოვი. 5—6 ს. ხირურგიულისა და კანის ავადმყოფობისა (ელექტროტერაპია)
გ. ს. ლევი 6—7 საათამდე, ნერვებისა (ელექტროთერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.
ქალი ექიმი ა. ი. შჩერბანინა 7—7½ საათამდის. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.
ზ. ა. თარხანოვი. 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.
ბ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს.
ს. ტ. არზანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გიმართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.
რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.
დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.
Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана. Тифлисъ, противъ памят. Ворон- (წლ.

ტფილისი

◆ ტფილისის დედათა მესამე გიმნაზიაში წელს 53 ქალმა დაამთავრა სწავლა. ამათში: 23 სომეხია; 22 რუსი; 2 გერმანელი; 3 ებრაელი და სამიც ქართველი, სახელდობრ: შალიბაშვილი მარიამ, ციციშვილი ნინა და მამრაძე მარიამი.

ოქროს მედალი მიიღო, სხვათა შორის, შალიბაშვილის ქალმა მარიამმა (სხვა გაზეთებში შეცდომით: შალიბოვადაა მოხსენებული). ვერცხლისა მიიღო ციციშვილის ასულმა ნინომ.

◆ მთავარ-მართებლის კანცელარიის ბრძანებით, ტფილისის გუბერნატორმა მისწერა ქალაქის მოურავს, საჩქაროდ შემატყობინე ყოველივე ცნობა, რაც-კი შეეხება ძეგლის აგებას მის იმპერატორებითის უმაღლესობის განსვენებულის დიდის მთ—ის ოლგა თეოდორეს ასულის სახელზედ.

◆ საქართველოს ეგზარხოსი მთავარ-ეპისკოპოზი ალექსი პეტერბურგს მიბრძანებულა.

◆ ჩვენ გვითხრეს, რომ საეგზარხოსო სამრევლო სკოლების მეთვალყურე დეკანოზი ვოსტორგოვი პეტერბურგს აპირებს წასვლას, როდესაც სამრევლო სკოლების კრება გათავდებაო.

◆ სახალხო თეატრი ძმათა ზუბალაშვილებისა აშენდა ჭერამდის. როგორც-კი ჭერი დაიხურება, მაშინვე შეუდგებიან სცენის მოწყობას, რისთვისაც გადადებულია, სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვით, 6,000 მანათი. პარტერი იმ რიგად იქმნება გაკეთებული, რომ იატაკი უკანა მხარეს მაღლა იწეოდეს წარმოდგენების დროს და, თუ საცეკვაო, ან სხვა გვარი საღამო იქნება, ისევ დაიწიოს, რომ სრულიად სწორე იყოს. ჰფიქრობენ, რომ ამ შემოდგომას თეატრი სულ მზად იქნება.

◆ ჩვენ გვატყობინებენ პეტერბურგიდგან, რომ სამრეწველო გარდასახადთა კანონი, რომელიც ამ რამდენისამე წლის წინად შემოიღეს, კვალად უნდა გადასინჯონ და შეასწორონ.

◆ ბრმათა სამზრუნველოს განყობილება გვთხოვს გამოვაქვეყნოთ, რომ 1 მაისს განყოფილების კასსაში იყო ფული 16,978 მან. 43 კ. მაისის განმავლობაში მიჰმატებია რაღდი ფული 2,244 მან. 66 კ. სულ გამხდარა 19,223 მან. 9 კ. იმავე თვეში დახარჯულა 3864 მან. 10 კ. და 1 ივნისისათვის დარჩენილა 15,358 მან. 99 კ. ეს ფული ინახებოდა: 1, სახელმწიფო ბანკში ნაღდად 22 მან. 47 კ. 2, სარგებლიანი ქაღალდებით 6,000 მან. 3, კომერციულის ბანკში 4,207, მან. 86 კ. და ტფილისის საურთიერთო კრედიტის საზოგადოების ბინკში 5,127 მან. 93 კ. და 4, განყოფილების კასსაში ნაღდად 73 კ.—სულ 15,358 მან. 99 კაპ.

თვალით ავადმყოფთა სამკურნალოში ამ 1903 წლის მაისის განმავლობაში ახლად მისულა 590 ავადმყოფი, წინად მიმსვლელთა რიცხვს, რო დაემატოს, შესდგება 5,853. იმავე თვეში 111 ოპერაცია გაუკეთებიათ 49 სამკურნალოში მწოლიარეთათვის.

◆ ტფილისის ხელოსნები ჩივიან, რომ სახელოსნო გამგეობაში ვერა საქმე ვერ უკეთდებათ; ხელოსნების უსტაბაშის ნახვა თურმე მეტად ძნელია, რადგანაც არავინ იცის, რა დროს დაიარება სახელოსნო გამგეობაში. ვისაც მასთან რამე საქმე აქვს, უნდა იაროს და რავდენიმე დღე ტყუილად დაჰკარგოს.

◆ ქალაქის საბჭოს ხმოსანმა ნ. ი. თამამშევმა ქაღალდი შეიტანა საბჭოში ქალაქის მუშების შრომის გაადვილებისა და მათ ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესობის შესახებ.

◆ ქალაქის გამგეობას განუზრახავს, როგორც წინადაც ვაუწყეთ მკითხველებს, ინჟენერი ალხაზოვი მოიწვიოს ქუჩების ქვაფენილის გამგედ; ხოლო კომისიის საქმეების მწარმოებლად და მოანგარიშედ ბ-ნი სამუელიანცი დანიშნოს. ამის გამო ქალაქის მოურავი სთხოვს ტფილისის გუბერნატორს დასახელებულ მოხელეთა დამტკიცებას. მუშაობას მალე შეუდგებიან.

◆ ტფილისში მოხელეთა ამხანაგობა არსდება. წესდება უკვე შეუდგენიათ და გუბერნატორისათვის წარუდგენიათ დასამტკიცებლად.

◆ 1897 წელს გარდაცვლილმა ვაჭარმა ა. ს. ზალინოვმა ყოველი თავისი მამული უანდერძა ქ. დუშეთს; ეს მამულები უნდა გაყიდულიყო და შემდგარიყო თანხა, რომლის სარგებელი კეთილ საქმეებს მოხმარებოდა. გარდაცვალებულის ერთმა ნათესავმა ანდერძის გაუქმება მოიწადინა და საჩივარი აღძრა. ოლქის სასამართლომ საჩივარი შეიწყნარა და მამულები დუშეთს არ არგუნა. ამ დღეებში ეს საქმე პალატაშიაც გაირჩა და დავა დუშეთის სასარგებლოდ გადასწყდა.

◆ ავლაბარში პირველ დაწყებით სკოლებს გარდა, ერთად-ერთი საქალაქო სასწავლებელია. სასწავლებელს სადგომის ქირად ხაზინიდან ეძლევა ყოველ წლობით 20000 მან. შენობის გაფართოებისა და დამატებით განყოფილების გახსნის შემდეგ სადგომის ქირად საჭიროა 3500 მან. ამ რიგად 1500 მანეთი არა აქვს სასწავლებელს. თუ ეს ფული ვერ იშოვნეს, დამატებითი განყოფილებანი დაიხურება და ბევრი ახალგაზდა სკოლის გარეშე დარჩება. გუშინ ავლაბრის 100-მდე მცხოვრებმა კოლექტიური თხოვნა გადასცეს ქალაქის გამგეობას და სთხოვეს დახმარება გაუწიოს. მცხოვრებნი ქალაქის თვითმმართველობას სთხოვენ გადასდოს: 1903 წლისათვის 345 მან. 1904 წლისა 1195 მან. 1905 წლ.—1655 მან. და შემდეგ ყოველ წლობით 1680 მან.

◆ როგორც პოლონური გაზეთები გადმოგვცემენ, კათოლიკეთა ეპისკოპოსი ბარონ როპპი სარატოვიდან ვილნოში გადაჰყავთ.

◆ კავკასიის სამოსწავლო ოლქის მთავრობას, შუამდგომლობა აღუძრავს საერო განათლების სამინისტროს წინაშე იმის შესახებ, რომ კავკასიის საშუალო სასწავლებლებში სწავლა დამთავრებულნი ყაზანის უნივერსიტეტში მიიღონ.

◆ განვლილ სამოსწავლო წელს ავლაბრის პირველ საქალაქო სასწავლებლის უფროს განყოფილებებში საცდელად შემოუღიათ გერმანულისა და ფრანგულის ენის სწავლება, იმ აზრით, რომ მოსწავლენი დასრულების შემდეგ ადვილად მომზადებულიყვნენ რეალურ სასწავლებელში გადასასვლელად, ან სამსახური შესძლებოდათ სამრეწველო სავაჭრო დაწესებულებებში. კურსების საქმე კარგად წასულა და მსურველიც ბევრი ყოფილა. სამწუხარო ის არის, რომ ღარიბთა შვილებს არ შეუძლიანთ ამ საგნებისთვის დამატებით ფულის გადახდა. ამ კურსებისთვის წელიწადში საჭიროა 400 მან. სასწავლებლის საპედაგოგიო საბჭომ სთხოვა ქალაქის თვით მმართველობას შეეწიოს 400 მანეთით.

◆ გუშინ-წინ, 17 ივნისს, ტფილისის გუბერნატორმა გაუგზავნა ქალაქის მოურავს თხოვნა ტფილისის მოქალაქის ი. დ. სარაჯიშვილისა და წინადადება მისცა, წარუდგინოს იგი განსახილველად საბჭოს. სარაჯიშვილი თხოულობს, ნება მიეცეს შეადგინოს საქციონერო საზოგადოება და გამართოს ცხენის რკინის გზა ავლაბარში—საყასბოდან კახეთის მოედნამდე. სარაჯიშვილმა ამ რამდენისამე ხნის წინად ასეთისავე თხოვნით მიჰმართა საბჭოს, მაგრამ იმას არ მიუღია თხოვნა და უთქვამს, საბჭოს უფლება არა აქვს ცხენის რკინის გზების გაკეთება სხვებს გადასცეს, თუ ბელგიის უსახელო საზოგადოება ნებას არ დაგვრთავსო. ასეთის პასუხის შემდეგ სარაჯიშვილს გუბერნატორისთვის მიუმართნია.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობამ განუმარტა სახელოსნო სასწავლებლის დირექტორს, რომ ბავშვების მიღების დროს უპირატესობა უნდა მისცეს ტფილისის მცხოვრებთა შვილებს და თუ ამის შემდეგ ადგილი იქნება, სხვებიც მიიღოს. ქალაქის მცხოვრებთა შვილები, რომელნიც წარადგენენ ქალაქის პირველ დაწყებით სკოლის გათავების მოწმობა-ს, გამოუცდელად უნდა მიიღონ სახელოსნო სასწავლებელში. თუ ასეთი მთხოვნელნი ვაკანსიაზე მეტნი იქნებიან, მაშინ ბავშვების მიღება კონკურსით უნდა მოხდეს. თავისუფალ ვაკანსიების შესავსებად მოსწავლენი გამოიცდებიან იმ პროგრამით, რომელიც შემოღებულია ქალაქის პირველ დასაწყის სკოლაში. ეს განმარტებანი გუშინ გაუგზავნა დირექტორს.

◆ ბაქოელმა სოვდაგარმა დ. იუზბაშევმა შეისყიდა სომეხთა ისტორიკოსის ა. ერიცოვის ბიბლიოტეკა და ეჩმიაძინის მონასტერს შესწირა. ეხლა იმავე იუზბაშევმა ფულადაც შესწირა 15,000 მ. ბიბლიოტეკისათვის ახალის სახლის ასაშენებლად ხსენებულს მონასტერში. სამაგალითო ამბავია, თუ-კი ვინმე მოინდომებს და წაბაძავს.

◆ ამ ხანად ქალაქში ფქვილი შესამჩნევად გაიაფდა. დროა პურის ნიხრი შეიცვალოს.

◆ ამ რამდენისამე წლის წინად ერთი მეტივე, გვარად ეგანოვი, დაიღუპა სტივეზედ. მისმა სახლობამ ქალაქს დასდო ბრალი და საჩივარიც დაიწყო. ტფილისის ოლქის სასამართლომ დაადგინა ყოველ წელს 360 მანათი გადაიხადოს ქალაქმა დაღუპულის მეტივის ოჯახის სასარგებლოდ. ქალაქის ვექილმა საქმე პალატაში განასაჩივრა. მაგრამ ქალაქმა არჩია ისევ მორიგებით გაეთავებინა საქმე და დაადგინა ყოველ თვიურ ხარჯის მაგივრად ერთხანად გადიხადოს 3,000 მანათი.

◆ ელისაბედის ქუჩაზედ, სასტუმრო „ვერსალის“ მახლობლად, ქუჩას გადადიოდა ხანში შესული კაცი. ძალზედ გამოქანებული ცხენის რკინის გზის ვაგონი № 30 ეცა და ზედ გადაუარა. ცხენებმა ფეხი ჩაჭკრეს და ორივე ფეხი და გვერდები ძლიერ დაუშავეს, საწყალი მოხუცი სისხლისაგან დაცლილი საავადმყოფოში გაგზავნეს.

◆ ბაზრის ქუჩაზე აქამომდე მათრობელ სასმელების ორიოდე დუქანი იყო. ამ ბოლოს დროს რამდენიმე მიემატა, სადაც გაბმული ლოთობის შემდეგ მუდამ დღე დაუსრულებელი ჩხუბი და აყალ-მაყალია მთელ ქუჩაზე და მეტადრე წოვიანოვის აბანოსთან, ქვაშვეთის ქუჩის კუთხეში, კორპუსის საყდრის წინ.

საღამოობით აქ მთელი გროვაა მთვრალ დედაკაცებისა, რომელთა წივილ-კივილი უშვერი და უწმაწური ლანძღვა-გინება და სამარცხვინო საქციელი ადამიანს შეაზარავს. გამვლელ-გამომვლელს აწუხებიან და მოსვენებას არ აძლევენ. შევარდებიან მაღაზიებში და ქალსა და კაცს აჩიაბრუებენ.

ჩხუბი და აყალ-მაყალი მთვრალ მამაკაცებშიდაც არაა იშვიათი. გუშინ წინაც სამჯერ მოუვიდათ ჩხუბი. რამოდენსამე კაცს. ზოგს მოჩხუბარს თავ-პირი მთლად დასისხლიანებული ჰქონდა. საჭიროა ყურადღება მიექცეს, თორემ თქვენი მტერი იყოს, როგორც აქაური უბნის ბინადარი მცხოვრები არიან ამ თავზე ხელ აღებული გარყვნილ ხალხის გამკიდე.

✦ ჩვენ გვთხოვენ გამოვაქვეყნოთ შემდეგი საზიზღარი ამბავი:

16 ამ თვეს, საათის ხუთზე, ნიკოლოზის ქუჩაზე ერთმა ხელოსანმა აწვალა 12 წლის ვაჟი. დრიალ წივილმა მიიქცია ყურადღება ერთის ჯარის კაცისა და პოლიციელისა, მაგრამ საქმე თურმე მიაფუჩეჩეს, მწვალებელ-წვალებული ექიმთან უნდა გაეგზავნათ მაგრამ თავი დაანებეს და საბრალო ბავში წიხლის კვრით ჩააჩუმეს.

მეფე ერეკლე და მისი წერილები.

XX

რა-კი შაჰნადირმა 18 აპრილს, 1742 წელს ოსმალთაგან ატეხილი ბრძოლა¹) სახელოვნად გაათავა 1746 წლის ნოემბერში ჩავიდა ისპაანში დიდის ზეიმით და ამბით.

ამოდენა დაუდგრომლობის გამო შაჰნადირს მეტად შეეცვალა ხასიათი: ამ დრომდე თავ-დაჭერილი და საქმის კარგად გამსინჯავი შაჰნადირი, ამ დროდან მეტად წინდაუხედავი, გულფიცხი ხასიათისა შეიქმნა, რომელიმე დიდი საქმის რიგიანად შესწავლა, გამოძიება ფეხებზედ ეკიდა. ენატანიებს ძალიან ფასი დაედოთ და ძალიან გამრავლდნენ. საკმარისი იყო ყურში წაეჩურჩულათ: —ესა და ეს კაცი შენი მოღალატეაო და მაშინვე ან მთელ ქონებას ჩამოართმევდა, ვისაც-კი ებადა რამე, ანუ ალალ-მართალ კაცს თავს გააგდებინებდა. შაჰნადირმა დაივიწყა, რომ ერის მძულვარება ისე არ ჩაივლიდა.

ხანები ძალიან გულ-ნაკლულნი იყვნენ. ჯარი უფრო უკმაყოფილო იყო, რადგან ჯამაგირი აღარ ეძლეოდათ. რაც დრო გადიოდა, იმდენად შაჰნადირი ძუნწობას ჩემულობდა, ფულს ზედ აკვდებოდა და დასახარჯავად არ იმეტებდა. იქამდე გახარბდა, რომ მთელი შემოსავალი მეჩითებისა და სასულიერო წოდებისა, წელიწადში შვიდ-რვა მილიონამდე, თითონ მიითვისა და მოლები ცარიელზედ დასხა; სასულიერო წოდებას სდევნიდა ცრუ მორწმუნეობისათვის. ყველა ამისა გამო უკმაყოფილება დღით-დღე მატულობდა და მარჯვე შემთხვევას ელოდნენ შაჰნადირის თავიდან მოსაშორებლად, ამისი საბაბიც მალე აღმოჩნდა ²).

ოსმალებთან ბრძოლის დროს შაჰნადირი საქართველოდგან არამც თუ იღებდა რასმეს, პირიქით ათას თუმნობით უგზავნიდა მეფე თეიმურაზ-ერეკლეს და წარჩინებულს თავად-აზნაურობას ეფერებოდა —გაჭირვების დროს არ ეღალატნათ. მართალია, თეიმურაზ-ერეკლემ დიდი სიკეთე უყვეს შაჰნადირსა, რამდენჯერმე აიკლეს ყარსის მხარე აზრუმამდე და მთელი სამცხე-საათაბაგო თავზარდაცემული იყო, —მაგრამ შაჰნადირმა, რა-კი ოსმალები თავიდგან მოიშორა, მოინდომა ქართველთა საბოლოოდ დამორჩილება. ამიტომ დაიბარა დაუყენებელი თავის მოხელეები საქართველოდგან და გაუწყრა—რატომ ჩემს ბრძანებას არ ასრულებდით და ქართველებს არ მამსახურებდითო, ვინ შეჭამა ჩემგან შეწერილი ხარჯიო?

— ქვეყანა აკლებულია, ხალხი შიმშილით იხოცება. რა ხარჯის გამოღება შეეძლო, —უპასუხეს ალალ-მართლად მირზა იბრეიმმა, მუსტაფამ და სხ. შაჰნადირმა მაშინვე თვალები დასთხარა საცოდავებს. ამ დროს წადგა თავ-მომწონედ ყაზახის ხანი ღ საქართველოს თავად-აზნაურობას უშველებელი ხარჯი შეაწერა, სულ ორასი ათასი თუმანი (2 მილიონი მანეთი). შაჰნადირს იამა, წაართვა, რაც რამ გააჩნდათ საცოდავ მირზა იბრეიმს და მუსტაფას და თვალებ დათხრილები ისევ ქართლში გამოისტუმრა. ზურაბ მეითრის პირით თეიმურაზ-ერეკლეს შეუთვალა „ეს თეთრი (2 მილიონი) მზათ დაიჭირეთ სამასი ათასი ყიზილბაშისათვისაო“.

მეფეებს ელდა ეცათ. სხვა ვეღარა იღონეს-რა, ადგნენ და ანანურში აიბარგნენ—საერონი სამღვდელონი. 1747 წ. 10 თებერვალს, ალამელიქი და სხ. მოქალაქენი თავისთან გაიყოლეს ცოლშვილიანათ მეფეებმა და გვერდიდგან არ მოიშორეს.

ქაიხოსრო ორბელიანს უბრძანეს ცოლშვილიანათ ახალდაბის ციხეში გახიზნულიყო. პაპუნა და ყაფლან ორბელიანები გადავიდნენ თავის მამულში და დაიწყეს ციხების გამაგრება.

რა-კი გაიგეს ქართველების განდგომა, ესრეთვე მოიქცნენ ლორის ხანი და ადრიბეჟანის დიდკაცობა, ლორის ციხეში ყაფლან ორბელიანი ჩადგა. სადაც-კი ლეკის თარეშები დაწრწოდნენ, სულ ხანმა და ყაფლანმა მოიყვანეს და თვით ინახავდნენ, ასე დაამშვიდეს ქვეყანა და მოუმზადნენ შაჰნადირის დასახვედრად. მთელი კახეთი ოთხ ადგილს გამაგრდა—კალაურში, ბოჭორმაში, ლოპოტის მთაში და თიანეთში.

მეფეების ანანურში გახიზვნა რო გაიგეს ავღანებმა გორი დაცალეს და ციხეში აიბარგნენ და შეუდგნენ ციხის გამაგრებას. გორელები აიყარნენ და მთებში გაიხიზნენ,

ჩამოვიდა თეიმურაზ მეფე გორს არაგვის ჯარით და ურჩია ავღანთა ჯარს ნებით ციხის დაცლა. ამათ უარი შემოუთვალეს. ამიტომ არაგველნი მიუსივნენ და გორის ბაზარი აიკლეს, რომ ავღნის ჯარისთვის საქმე გაეჭირებინათ; იქამდე გაჭირვეულდნენ, რომ თეიმურაზმა ვეღარა შეასმინარა, აიყარა და ისევ ანანურისკენ გასწია, რაკი თოფხანა არა ჰქონდა ციხის ასაღებად.

ამ დროს მოვიდა ამბავი ადრიბეჟანის განდგომისა. ერევნის ხანს თავის საყმოთი მოუწერა თეიმურაზისათვის—„ყმასავით გვიმსახურეთ, სადაც გეპრიანებოდეთ ჩვენს ჯარს იქ გაახლებთო“. ამ დროს ერევანს ებრძოდა შაჰნადირისაგან გამოგზავნილი ამირ ასლანხანი.

ჩაუვიდა შაჰნადირს ამბავი—„თეიმურაზ-ერეკლე გაგიდგნენ და მთებში გაიხიზნენო“. ძალიან დააფიქრა ამ ამბავმა. საჩქაროთ შეკრიბა დიდი ჯარი და გამოუსია საქართველოს, მაგრამ გზიდგან დააბრუნა, ისევ მშვიდობიანი საქმე არჩია, განვლილი წლების ბრძოლა კარგად ახსოვდა.

შემოუთვალა თეიმურაზს—„რა ამბავია, რაზედ შეფიქრიანებულხართ? ყველაფერი გვიპატიებია, როგორც გინდა, ისე გაარიგე მანდაური საქმეო, მხოლოდ ჩემი ბძანება გააკონე ხალხსა, ჩამოდი ქალაქში და ქვეყანას მოუარეო“. შაჰნადირის გამოგზავნილი კაცი თეიმურაზის თადარიგს, სამზადისს ყველაფერს ათვალიერებდა, რადგან შაჰნადირისაგან დავალებული ჰქონდა. ჩაუტანდა თუ არა აქაურ ამბავს, შაჰნადირი დიდის ჯარით აპირებდა საქართველოსკენ გამოლაშქრებასა.

შაჰნადირს ერეკლე დაებარებინა—რასაც მომასხენებს ქვეყნის საქმებს, ყველაფერს შეგისრულებთო.

თეიმურაზმა მოახდინა თათბირი და ისევ თავისი წასვლა არჩია შაჰნადირთან—რაც მომივა-მომივაო. ამ არევდარევაში ყველამ თავისკენ გაიწია—ჩვენს თავს უშველოთ რამეო. თეიმურაზმა დაავალა აბდულბეგს სომხეთის მოვლა-პატრონობა—ერეკლეს შეკითხვით ქართლსაც ყური უგდეო, ერთმანეთის თანხმობით ქვეყანას მოუარეთო.

წავიდა თეიმურაზი შაჰნადირთან 10 მაისს, იახლნენ თან ქაიხოსრო ორბელიანი, ქაიხოსრო ანდრონიკაშვილი, ლუარსაბ თარხნიშვილი, პაატა მოლარეთხუცესი (ტუსიშვილი?), რევაზ მიღახორბაში, მამად უსენა და სხვ. ჩაიარა სამშვილდეში, ბოლნისში. ლორის ციხე ისევ ლორის თავ კაცებს ჩააბარა, თოფხანა-კი აბდულაბეგმა სამშვილდეში ამოიტანა და შეუდგა დიდს სამზადისსა და ამაგრებდა ციხეს. ერევანთან მოეგება ასლანხანი, დიდი პატივი სცა და გაისტუმრა შაჰნადირისაკენ.

თავრიზს რო გასცილდა, თეიმურაზმა გაიგო შაჰნადირის მოკვლა ხოროსანში ივნისის 7—8 ღამით და მის მაგიერ ალიყული ხანის გამეფება —ადილ-შაჰის სახელით. ადილ-შაჰი ძმისწული იყო შაჰნადირისა და თეიმურაზის სიძე, ამიტომ თეიმურაზმა თავისუფლათ ამოისუნთქა და სიხარულით გაეშურა ხორასნისაკენ. ³) მაგრამ ყველგან არეულობის გამო ყეენამდის ვერ მიახწია და შირაზში შეაფარა თავი. (ქ-ცხ. 400 გვ.) თეიმურაზ მეფემ რო ჩაიარა, მალე გამოჩნდა ადრიბეჟანში ვიღაც საამშა, ისარგებლა სპარსეთის არევ-დარევით, თავისი თავი ყეენად გამოაცხადა აბდულაბეგს ქართლის მეფობის წყალობის წიგნი მოუვიდა. ყველა ხანებს წყალობის ოქმები მისწერა. ამისთანა ოქმები ქართლშიაც ბევრი მოვიდა, ყველას იწვევდა—„ჩვენს სამსახურში მოდით და ჩვენის წყალობის მოიმედე იყავითო“. აბდულაბეგმა და ერეკლემაც მიიღეს საამშას რაყამი, რასაკვირველია, მაგრამ ერეკლემ ცივი უარი შეუთვალა—„ჩვენგან შენი ყმობა არ იქნება“.

აბდულაბეგს წინათვე საიდუმლო მოლაპარაკება ჰქონდა საამშასთან და ქართლში გამეფებას ეტრფოდა. „თუ თეიმურაზს აუტყდა რამე სპარსეთში, ქართლს არავის დავანებებო“, ასე ფიქრობდა აბდულაბეგი. ამიტომ ერეკლეს უარი და მუქარიანი პასუხი დიდათ ეწყინა. შემოიფიცა სომხით-საბარათიანო ერთგულობაზედ, ორის წლის სამყოფი საზრდოთი აავსო სამშვილდის ციხე, სადაც ლეკის ჯარი იყო, ან თეიმურაზ ერეკლეს მომდურავი—ყველანი მოიყვანა და მოიმხრო, ლოღიაობა დაუწყო.

აბდულაბეგს დიდი ნათესაობა ჰყვანდა ქართლ-კახეთში და ყველანი საიდუმლოდ გაიერთგულა. თბილისში, გორში კარგი მომხრენი იშოვა და გაბმული საიდუმლო მიწერ-მოწერა ჰქონდა გამართული. მთელი ყაზახ-ბორჩალო აბდულაბეგის მომხრე შეიქნა.

მოსკოვიდგან ბაქარ მეფე და სპარსეთიდგან გივი ამილახვარი ფრთებს უსხამდნენ აბდულაბეგს ამისთანა სახიფათო საქმეში. მაგრამ აბდულაბეგი დიდი გამოცდილი და მოხერხებული კაცი იყო; იგი ნამდვილი გივი ამილახვრის გაწვრთნილი იყო. სომხით-საბარათიანოს მემამულე თავად-აზნაურობა თითქმის ხელში დაიჭირა. ვინც ერეკლეს მხარეს იყო. ტკბილის სიტყვით და შეჩენილი კაცებით იერთგულებდა, სადაც ამ გზით არა გამოდიოდა, იქ დარბევასა და აკლებას რაღა დაუდგებოდა წინ? ორბელიანები ზოგი ერეკლესკენ იყვნენ, ზოგი აბდულაბეგისაკენ. ამ დროს ერეკლეს არ ეძინა. სპარსეთიდგან მოსული შანშე ერისთავი ჩამოიყვანა ქალაქში ქსნის ჯარით და შემოიფიცა ერთგულობაზედ ანტონ კათალიკოს-პატრიარქის თავდებობით. ერეკლემ ყაზახ-ბორჩალო დაარბია —აბდულაბეგს რათ ემსახურებითო. აბდულაბეგი ორბელიანების მამულს იკლებდა—ერეკლეს რათ ერთგულობთო. საქმე თან-და-თან ჭიანურდებოდა და ერეკლემ მშვიდობიანი გზა აირჩია. თბილელმიტროპოლიტი ათანასე ამილახვარი შუა კაცად გაგზავნა აბდულაბეგთან და შეუთვალა—„დაწყნარდი და საბატონიშვილო მამულს მოგცემო, მოდი მნახეო“. მაგრამ აბდულაბეგი გივი ამილახვარივით თავის ნათქვამი იყო და ეგრე ადვილად როდი გაატრიზავებდა თავის სიტყვასა: შემოუთვალა—„ქართლი ჩემია, კახეთი შენიაო, შენ კახეთს დასჯერდი და ქართლი მე დამანებეო“. მაგრამ ამ დროს ერთი დიდ-მნიშვნელოვანი საქმე მოხდა. ქართლში შაჰნადირის დროს ალიხანი იჯდა გამგებლად. ამ ალიხანმა მოიწადინა ამღვრეულ წყალში თევზის დაჭერა: თუ ვიღაც საამშა თავრიზში გამეფდა, ჩემი უფრო უპრიანი არ არისო, იფიქრა ალიხანმა. ფიქრი და საქმე ერთი იყო. შეჰყარა ოც-და-ათი ათასი კაცი და საქართველოსკენ გამოსწია. წინ კაცი გამოჰგზავნა ერეკლესთან და აბდულაბეგთან—დამმორჩილდით, თორემ მიწასთან გაგასწორებთო. ორივეს დიდათ ეწყინათ ალიხანის თავხედობა. აბდულბეგმა სული განაბა, რაკი ალიხანმა ერეკლესკენ ქნა პირი. ერეკლემ შეუთვალა—„თუ ყეენის (ადილშაჰის) ბრძანებით მოხვალ გვაცნობეო და თუ სამტროდ მოხვალ—მობძანდი და აქ დაგხვდებიო“.

ალიხანმა ბანაკი დასცა კუმისის მინდორზედ. მოუხდა ქალაქს, მაგრამ ძალიან გაბრიყვდა: ორად გაჰყო ჯარი, ერთი წილი ვერის ხევიდან მოუსია, მეორე თელეთის მხრიდგან. ერეკლე აბანოების მხრივ დადგა, ხოლო ვერის მხარეს დემეტრე ორბელიანი დაუყენა მოპირდაპირედ. ვიდრე ალიხანი თელეთიდგან მოახერხებდა რასმეს, დემეტრე ორბელიანმა ზურგზე მტვერი აადინა ალიხანის ჯარსა და ხმალ და ხმალ მიჰყვა კუმისამდე. ალიხანი შერცხვენილი გაიპარა იმავე ღამეს და განჯაში ჩავიდა. აქედგან თავრიზისკენ გასწია საამშას სამტროდ. აქ-კი გოჭი აღჩუს დაუჯდა: საამშა დაიჭირა და ამირასლან ხანს გაუგზავნა. ამან თვალები დასთხარა და ყეენს ადილშაჰისკენ გაისტუმრა. ამ ამბავმა ერეკლე გაახარა, ხოლო აბდულაბეგი დაალონა და დაამძრა.

აბდულა ბეგმა მაინც გული არ გაიტეხა და შეებრძოლა ერეკლე მეფეს ორის წლის განმავლობაში, კვნესოდა ქართლი ამ ძმათა შორის აურზაურისაგან, უხაროდათ და ხელის მოთმობას მოელოდნენ სისხლის მსმელი მეზობელნი.

(შემდეგი იქნება).

მღ. პ. კარბელაშვილი.

---

¹) იხ. Бутковъ I, 539 გვ.

²) იხ. Поход. Надиршаха, Кищмишева 217—219 გვ.

³) იხ. Бутковъ I, 232—234 გვ.

ჭელიშის მონასტერი და მისი წინამძღვარი.

იყო დრო, როდესაც მთელს რაჭაში სასულიერო სამსახურის მოსურნე ჭელიშის მონასტერში იღებდა საღმრთო სწავლა-განათლებასა. აქ შეხვდებოდით ურიცხვ ხალხს, რომელნიც ვარჯიშობდნენ საეკკლესიო გალობაში და საღმრთო წერილის კითხვაში. ამ მონასტერში ნასწავლნი დღესაც მსახურებენ რაჭის ეკკლესიებში და ატკბობენ მსმენელის ყურს საღმრთო წერილის მშვენიერის კითხვითა.

მაგრამ გავიდა დრო და ამ მონასტერს მოაკლდა მოსწავლეთა რიცხვი. სემენარიელთა რაოდენობამ იმატა, ასე რომ მონასტერში სწავლა მიღებულნი ვეღარ შოულობენ სასურველს ადგილს; ამისათვის მონასტრის ცხოვრება შეჩერდა, აღარ არის ის მოძრაობა, რასაც ადრე ვხედავდით.

აი, ამ გარემოებას მიაქცია ყურადღება აწრინდელმა ჭელიშის მონასტრის წინამძღვარმა, დიდათ პატივცემულმა არქიმანდრიტმა ამბროსიმ (ხელაია) და სურს ისევ განაცხოველოს მონასტრის ცხოვრება.

ყველასათვის ცხადია, რომ ახლანდელნი სემენარიელნი ძლიერ სუსტობენ ქართულს წირვა-ლოცვაში; ამის მიზეზი ყველასათვის აშკარაა. ამის გამო მამა ამბროსის აზრად აქვს ყოვლად სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსის ლეონიდის ნებართვით ის სემენარიელნი, რომელნი ; სამღვდელოდ ემზადებიან, უთუოდ ვარჯიშობდნენ საღრთო წერილის კითხვაში ამ მონასტრის ზღუდეთა შორის; აზრი ყოვლად პატიოსანია და, იმედია, ახლო მომავალში განხორციელდება. მაშინ ჩვენს მონასტრებს ხომ სიცხოველეც მოემატება!!.

საზოგადოდ მამა ამბროსი განათლებული და მშრომელი კაცია. იგი დაბრძანდება რაჭის ყველა კუთხეში, ათვალიერებს ძველს ეკკლესიებს და ჰკრებს სასარგებლო ცნობებს.

ვუსურვებთ მამა ამბროსის წადილის განხორციელებას და ყოველ მის საქმის წარმატებას ჩვენის ეკკლესიის და სამღვდელოების სასარგებლოდ.

მღ. სიმონ ჭელიძე.

ჩვენებური ამბები

დუშეთი. 13 ივნისს დუშეთის საზოგადოებამ სადილი გაუმართა და პატივი სცა აქაურს გამომძიებელს ბ-ნ ბარსოვს, რომელმაც თავის სწორის სამართლით და ყოველ საზოგადო საქმის სიყვარულით სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. ის არ არჩევდა ერთმანეთისაგან არც რუსსა, არც ქართველსა და არც სომეხსა, იმისთვის ყველა ერთი იყო, მდიდარი და ღარიბი და ისე არ იქცეოდა, როგორც ზოგიერთები...

ბ-ნი ბარსოვი გადავიდა კავკავში.

ითხვისელი.

—

ქვათანი (სამეგრელო). არა მგონია სადმე სამეგრელოში ისეთი კუთხე იყოს სწავლა-განათლებით დაქვეითებული, როგორც ქვათანის საზოგადოებაა. ამ საზოგადოებაში დაახლოებით (რამდენიმე სოფელია) სცხოვრობს 900-მდე კომლი და ამდენ მცხოვრებთ თავთავის ეკკლესიებთან რიგიანი სკოლა არ მოეძევებათ; მართალია, არსებობს ასეთ დიდ საზოგადოებაში ერთი ორ-კლასიანი ნორმალური სკოლა, მაგრამ არ შეუძლია ამ სკოლის ხალხის გონებრივი საზრდოს მოთხოვნილება სავსებით დააკმაყოფილოს. რა უნდა ჰქნას გლეხმა, რომელიც, არამც თუ რომელსამე ქალაქში ვერ გაგზავნის შვილს სასწავლებლად, არამედ თავის შვილისთვის ანბანის სწავლებაც უჭირს სიღარიბის გამო.

სწორედ სამწუხარო მდგომარეობაშია ამ მხრივ მათი მდგომარეობა. ეს ნორმალური სკოლა-კი მართალია დიდ სარგებლობას იძლევა, მაგრამ უადგილობისა გამო ბევრს ვერ იღებს.

ამისათვის კარგი იქნებოდა, ყველა ეკკლესიასთან დაიარსებდნენ სამრევლო სკოლებს და მით გზას გაუხსნიდნენ სწავლისადმი ბავშვებს. გლეხს წერილი რომ მოუვიდეს, მთელი სოფელი უნდა შემოატაროს, იქნება ვინმემ წამიკითხოს და მისი შინაარსი გამაგებინოსო. კარგი იქნებოდა, რომ ვინმე ითავებდეს ამ საკეთილო საქმეს და შეაგონებდეს ხალხს სკოლის საჭიროებას. თითო-ოროლა ინტელიგენტი აქეთაც მოინახება, რომ აუხსნან ხალხს სწავლის საჭიროება. აქ არ არსებობს ბიბლიოთეკა-სამკითხველოც, მართალია, 1901 წ. არსებობდა დაბა აბაშაში ერ-

---

ფელეტონი

⁂

მუდამ ტირილი...
მუდამ ჩივილი...
მუდამ სიმწარით გულისა ძგერა.
არ სჩანს იმედი;
გვძულს ჩვენი ბედი;
ვერ შევძელთ ჩვენ წინ ნუგეშით ცქერა.
მუდმივი შიში,
მუდმივი ვიში
ყოველს ჩვენ ნაბიჯს გადაჰფარვია.
და უმწეობის,
მონურ-ლაჩრობის
გულს მოგვხვედრია ვერაგი ტყვია.
ფიქრით ლაჩართა,
აზრით ლატაკთა,
სურვილიც-კი ვერ გაგვიბედნია;
და ცეცხლი გულის,
სიმტკიცე სულის
სადღაც უფსკრულში გადგვიბნევია.
კეთილი გრძნობა,
სადღაა ძმობა?!
გამეფებულა დღეს ჩვენში ჭორი.
და გვძულს ვით რისხვა
ცოცხალი სიტყვა,
სიტყვა მართალი, მხილავი, სწორი.
...ეგრევ მდინარე,
ცელქ-მომდინარე,
როს ველარ დალევს წვიმისა ნამებს,
და მიწაც წყაროს
ძალს სანეტაროს
აღარ მიაწვდის, დაუგვიანებს,—
ნელ-ნელა ქრება,
მიწას ეკვრება,
მოეკიდება მას ხოლმე ხავსი,
და მის კიდეში
მის ზვირთ სიღრმეში
ბინას გაიჩენს ქვემძრომი ნავსი.

ქ. გარიყული.

ზოგიერთგვარ სულით-ავადმყოფობის შესახებ.

როდესაც ადამიანს რაიმე ჯავრი აწუხებს, მუდამ იმის ფიქრშია და ხშირად ეს ფიქრი მთლად შეიპყრობს ადამიანის არსებას; როდესაც შემთხვევა დაგვაშორებს ჩვენს საყვარელ მახლობელს, ჩვენი ფიქრი და აზრი იმასთან არის; უცბად შეგვიპყრობს შიში, ვაი თუ უბედურება რამე ეწვია იმასაო; ეს შიში იმდენად ძლიერდება ხან-და-ხან, რომ მოსვენებას არ გვაძლევს, გვიკარგავს ძილსა და სულის სიმშვიდეს; ამგვარ შემთხვევაში ვსცდილობთ გავამხნევოთ ჩვენი თავი და შთავაგონოთ, რომ ეს შავი ფიქრები უსაფუძვლოა, მაგრამ ამაოდ, ჩვენი გონება და ნება ხშირად უძლურია ამგვარ შიშის წინააღმდეგ. რამდენისამე ხნის შემდეგ-კი გონება და ნება სძლევს და ადამიანს უბრუნდება სულიერი განწონილობა, იშვიათად იქნება ისეთი ადამიანი, რომელსაც თავის სიცოცხლეში ერთხელ ორჯერ მაინც არ გამოევლოს ამგვარი სულიერი მდგომარეობა.

იმ შემთხვევაში-კი, როდესაც ზემო აღწერილი სულიერი მდგომარეობა სამუდამოდ შეიპყრობს ადამიანის სულიერ ბუნებას და შეიპყრობს სავსებით, ვამბობთ, ეს სულის ავადმყოფობააო. ამგვარ ადამიანსაც ვეძახით სულით ავადმყოფს; ასეთი სულით ავადმყოფი მოკლებულია სულიერ განწონილობას, იგი ჰგრძნობს სისულელეს ამ ფიქრებ—იდეებისას, რომლითაც სავსებით არის შებორკილი, მაგრამ მოკლებულია სამუდამოდ სულიერ ძალას თავი დააღწიოს.

ამგვარ სულიერ ავადმყოფზე ვიტყვით, რომ იგი არის შეპყრობილი „აბეზარ ფიქრებით, იდეებით“.

„აბეზარი იდეები“, რომლითაც სულით ავადმყოფია გატაცებული, ერთ-გვარი როდი არის.

ზოგი სულით ავადმყოფი საშინელი მწარე და შავი ფიქრებითაა შეპყრობილი; მისი სახე საშინლად დაღვრემილია; შეხედავთ თუ არა, შეატყობთ, რომ საშინელ სულიერ ტანჯვას შეუპყრია; მთელის საათობით ზის უძრავად, თავ-ჩაღუნული, რაც უნდა ჰკითხოთ, პასუხს ვერ მიიღებთ. სრულიად უარობს და არ ნდომობს სასმელ-საჭმელს. ამ გვარ მდგომარეობაში ავადმყოფი სრულებით ვეღარ ჰგრძნობს შავ ფიქრების უაზრობას. ზოგს გაიტაცებს ხოლმე მოგონება რომელისამე წინად ჩადენილ დანაშაულობისა.

არის ისეთი სულით ავადმყოფი, რომლის „აბეზარი იდეები“ ის არის, რომ მუდამ რაიმე საგნის აღსნაშია, ისეთ საგნის, რომელსაც არავითარი აზრი არც მისთვის და არც სხვისთვის არა აქვს. ამ გვარი სულით ავადმყოფი მიდის და ფიქრობს: „მივდივარ, ძლიერ კარგი, მაგრამ რისთვის?! რომ წავიქცე, რა იქნება? რას ვიზამ, რომ ეხლა ჩემ გვერდით ვინმე წაიქცეს, ნეტავი ვინ იქნება, ქალი, თუ კაცი, იქნება ვინმე მოხუცი იყოს და სხვა...

ერთ მეცნიერ—ექიმს თავის თხზულებაში აღწერილი ჰყავს სულით ავადმყოფი, რომელიც ამ გვარ „აბეზარ იდეებით“ იყო ავად. ეს ავადმყოფი ახირებულ სენით იყო შეპყრობილი: რომელ ქალსაც კი შეხვდებოდა ქუჩაში და სხვა ადგილას, იძულებული იყო გადაეწყვიტა, ლამაზია ეს ქალი თუ ულამაზო, ბოლოს ისე გაიტაცა ამ სენმა, რომ იძულებული შეიქმნა თვალ-ახვეული ეარა დაქირავებულ კაცის შემწეობით. როგორც-კი სადმე, სიარულის დროს, მის ყურს ქალის კაბის შრიალი მოესმოდა, ფიცხლავ გაჩერდებოდა და ჰკითხავდა თავის კაცს, ლამაზია ეგ ქალი თუ ულამაზოვო. მხოლოდ მაშინ მოისვენებდა, როდესაც გადაჭრილ პასუხს მიიღებდა.

მაგრამ ერთხელ ამ ავადმყოფს ასეთი საქმე შეემთხვა: როდესაც რკინის გზით მიდიოდა სხვა ქალაქში, უცბად ღამე გაახსენდა, რომ სადგურზედ ქალი შეხვდა, ხოლო არ გაახსენდა ეკითხნა, ლამაზი იყო თუ ულამაზო. მაშინვე აღვიძებს თავის კაცს და ეკითხება, ლამაზი იყო თუ არა ის ქალი, რომელიც სადგურზედ შეგხვდაო; ნამძინარევმა, საუბედუროდ, ვერ მოისაზრა და უთხრა, არ მახსოვსო, ეს საკმარისი იყო ავადმყოფისთვის, რომ მაშინვე უკან დაბრუნებულიყო იმ ქალის სილამაზის გასაგებად.

ამ გვარ სულის ტანჯვაში იმყოფებიან ისინიც, რომელნიც იძულებულნი არიან ქუჩაში სიარულის დროს სთვალონ ფანჯრები, ფანრები, სახლებზედ მიკრული ნომრები, მოიგონონ დავიწყებული სახელები და სხვა. არის ისეთი „აბეზარი იდეები“, რომლებსაც საშიში ხასიათი აქვს. მაგალითად, ასეთ ავადმყოფს სულ მუდამ იმის შიში აქვს, ვაი თუ რომელისამე სენით ავად გავხდეო; ვისაც უნდა ხელი ჩამოართვას, მაშინვე ხელს დაიბანს, რადგან სნეულების გადადების ეშინიან; ცხვირ-პირზედ ხელსახოცი აქვს მიფარებული, რადგან, ეშინიან, მავნე ბაცილები არ გადავყლაპოვო. მე მინახამს ერთი ამ გვარი ავადმყოფი, რომელსაც ხელებზედ ტყავი ჰქონდა გადამძვრალი მუდმივის ხელის ბანით.

ამ გვარ სენს ფრანგები ეძახიან: „ma ladie du toucher.“

ამ ჯგუფს ეკუთვნის „ეჭვით ავადმყოფო-

თი სამკითხველო, მაგრამ, სამწუხაროდ ჩვენდა, სიღარიბის გამო ისიც დაიკეტა.

ამასთან საჭიროა დააარსებდნენ სასოფლო შენახველ-გამსესხებელ ბანკსაც.

კვათანელი.

—

ს. რეხა (ბორჩ. მაზრა). ბორჩალოს მაზრის, თრიალეთის საბოქაულოს, სოფ. რეხაში სცხოვრობენ ქართველები, რომელთაც დავიწყებული აქვთ ქართული ენა, ქართული ჩაცმა-დახურვა; თვით სადგომები, ოჯახის მოწყობილობა თათრული აქვთ და ლაპარაკობენ თათრულად, მაგრამ ზნე-ჩვეულებანი-კი ნამდვილი ძველი ქართული პატრიარქალური დარჩენიათ... რომელსაც—გინდა ჰკითხოთ, ამაყად მოგიგებს „მე ქართველი ვარო“.

ეს ქართველები სულით და გულით მოწადინენი არიან შეისწავლონ ქართული ენა, ჩაიცვან ქართულად და ყოველისფრით დაუახლოვდნენ ქართველობას. ამ ერთის თვის წინად სოფელმა დაადგინა გარეკონ ურიები და ჩარჩები, რომლებიც დაუცხრომელად სწველავდნენ ხალხს და სთხოვეს ბ-ნს ალ. ნებიერიძეს, გახსნას მაღაზია და იქონიოს ყოველი სოფლისათვის საჭირო ნივთი. ბ-ნმა ალ. ნებიერიძემ შეუსრულა თხოვნა და ამ ერთის თვის წინად გახსნა იმისთანა მაღაზია, რომლის მსგავსსაც სოფელში ვერსად შეხვდებით; ამას გარდა გახსნა ერბოს საკეთებელი ქარხანა, რომელიც დაიწყებს მოქმედებას ივლისის პირველიდან. მაღაზიაში ყოველისფერს იშოვით და იმ ფასად იყიდით, როგორც ტფილისის მეწვრიმლები ჰყიდიან. ახლა სთხოვეს ბ-ნს ა. ნ—ძეს რომ „საქართველოს ჩითები“, თავსახურავები, სარტყელ-გულისპირი ჩამოიტანოს, რომ „ჩაცმა-დახურვით მაინც დავემსგავსოთ ქართველებსა“-ო. ა. ნ—ძემ ეს თხოვნაც შეუსრულა. ყველა ამას წერა-კითხვის საზოგადოებაც რომ დაეხმაროს, ყურადღება მიაქციოს ამ ხალხსა და პატარ-პატარა ისტორიული წიგნაკები და საწერი რვეულები გაუგზავნოს ძალიან კარგი იქნებოდა: ხალხი ჩივის თავის „უსწავლელობას“.

ეს ყველა ასე გახლავთ, მაგრამ... (თითო „მაგრამ“ ხომ ქართველთა საქმეს არ დააკლდება) მაგრამ გარეკილი ურიები და ჩარჩები არსად ადვილად არავის დაემორჩილებიან და აქაც ისე მოჰხდა: გახსნეს დარდუბლის კიდობანი, მიჰმართეს ურიულს საღსარს და, როგორც ყველგან და ყველაში—აქაც გამოჩნდნენ მახინჯები და გარეკილ ურიებს და ჩარჩებს მხარს აძლევენ, თუმცა-კი ვერას გახდნენ და ვერც გახდებიან, იმისათვის რომ პატიოსანთა და გონიერთა რიცხვი (როგორც საზოგადოდ ძველ ქართველებში) მომეტებულია,—სულ ხუთიოდე კაცამდე მიემხრო ურიებს.

ვისურვებთ, რომ ბ-ნი ნ—რიძე მოთმინებით აღიჭურვოს, ბოროტთა მითქმა-მოთქმას ყური არ უგდოს და საქმე კარგად წაიყვანოს, რომ მიმბაძავნი გამოუჩნდნენ.

ქართველი.

—

აბაშა (ქუთაისის მაზრა). აბაშის საზოგადოების მცხოვრებნი, ხვნა-თესვის გარდა დიდის ხალისით მისდევენ აბრეშუმის ჭიის მოვლა-მოყვანას. ამ რამდენისამე წლის წინად ეს სასარგებლო ხელობა მხოლოდ დედაკაცების საქმე იყო და ეხლა, რაკი აბრეშუმით სარგებლობა მართლაც რომ თვალსაჩინო შეიქნა, მამაკაცებიც ერევიან ამ საქმეში და საკმაოდ კარგად დახელოვნდნენ აბრეშუმის ჭიის მოვლაში.

არიან ისეთი ოჯახები, რომ ყოველ წლობით შვიდ-რვა თუმნამდე ფულს იღებენ ამ ხელობით და ეს კარგი საღსარია ყველა ოჯახისათვის. წელს ამინდი ხელს უწყობდა აბრეშუმისას, მაგრამ ზოგიერთები მაინც გულდაწყვეტილი დარჩა მოსავლით. ეს, რასაკვირველია, უფრო საბაზრო და უვარგისის თესლის ბრალი უნდა იყოს, ვიდრე მომვლელებისა. დღეს ჩვენში აბრეშუმის ჭიის მოვლა ყველას პრაქტიკულად, შესანიშნავად აქვს შესწავლილი და რომ ყოველ წლობით კარგს და საღს თესლს შეიძენდნენ, ზოგიერთების ბედს ძაღლი არ დაჰყეფს. თესლი წელს, წარსულ წლებზედ გაცილებით, ცოტა შემოიტანეს სოფლად, ასე რომ ზოგიერთი ოჯახი უთესლოდ დარჩა.

ზოგიერთმა ოჯახმა თვითონვე შინაურულად შეინახა თესლი და შესამჩნევია, რომ პირველ წლებში ასეთმა დამზადებულმა თესლმა კარგი მოსავალი მისცა ყველას. ეს მით აიხსნება, რომ უთუოდ ჩვენში აღზრდილ ჭიიდგან და პეპელებიდგან თესლი მეორე წლისათვის მთლად შეეთვისება ჩვენის ქვეყნის ჰაერს და იმიტომ მოსავალსაც კარგს იძლევა. ცელლილიალურად თესლის მომზადებისათვის ჩვენში თავს არავინ არ იწუხებს, თორემ დიდი სარგებლობა შეიძლებოდა იმისგან. უვარგის თესლის წყალობით ზოგიერთები მთლად ხელცარიელი დარჩნენ წელს. ზოგიერთებმა სწორედ სული მოითქვეს აბრეშუმის მოსავლითა.

აბრეშუმის მოვაჭრეები წელს, წარსულ წლებთან შედარებით, გაცილებით დიდს ფას აძლევდნენ და აძლევენ. ფუთი ნედლი პარკი სადგურ საჯავახოში და ახლო-მახლო სოფლებში 17-დგან 20 მანეთამდე ღირს, რასაც არასოდეს არ მოსწრებიან ჩვენი მეაბრეშუმენი. წარსულ წლებში-კი თუმნიდან თოთხმეტ მანეთამდნენ აძლევდნენ. წელს აბრეშუმის ფასის აწევა, ეჭვი არაა, ხალის გაუორკეცებს ჩვენს მეაბრეშუმე ქალებს მომავალი წლისათვის და ამით მოსალოდნელია ეს საკეთილო ხელობა თანდათან გაძლიერდეს ჩვენში.

—

დიდ და ვრცელს საჯევახოში (რამოდენიმე საზოგადოებაა) წელს ყანას კარგი პირი უჩანს, რადგანაც ამ დრომდე ამინდი ხელს უწყობდა. სამწუხარო მხოლოდ ისაა, რომ სადგურ საჯევახოს მახლობლად ზოგიერთმა მუშებმა თავი დაანებეს საზიაროდ ყანის მუშაობას და ამით ზარალობენ, რასაკვირველია, როგორც თვით ყანის მომუშავე გლეხნი, ისე მემამულენი. ამ წლამდე მუშა—გლეხი სანახევროდ მუშაობდა მემამულის ყანას და წელს, გურიის მცხოვრებთა მუშაობის შესახებ მემამულეებთან უკმაყოფილებამ აქაც იჩინა თავი და სანახევროდ მუშაობას თავი დაანებეს. მუშები თხოულობდნენ ორ ნაწილს თავისთვის და მესამედს, ან უფრო ნაკლებს მემამულეებისათვის. მემამულენი არ დასთანხმდნენ ამაზედ და ამას მოჰყვა ადგილების დაუმუშავებლობა. წელს დარჩა დაუმუშავებლად აზ. ბ. ო—ძე კალოიანის ადგილები, რომლებიც დიდს სარგებლობას აძლევდა წარსულ წლებში, როგორც მუშებს, ისე მემამულესაც. დანარჩენმა მემამულეებმა, როგორც მაგალითად აზ. ლ. არდიშვილმა, სამესამედოდ გასცეს საყანე ადგილები და ასეთი ადგილები ყველა დათესილია.

საზოგადოდ რომ თვალი გადავლოთ ჩვენებურ გლეხს და მემამულე აზნაურების ცხოვრება-დამოკიდებულებას, საშინელი შური და მტრობაა ჩამოვარდნილი. ზოგიერთი მემამულე საქირაოდ ვერავის ვერ შოულობს და, თუ იშოვა ვინმე, ეუბნებიან, მემამულე აზნაურის სამუშევარს ნუ იმუშავებო.

—

6 ივნისს აბაშის საზოგადოების სამმართველოში მოვიდა ქუთაისის მაზრის უფროსი, თავადი დადიშკელიანი, მას თან მოჰყვა სამტრედიის პოლიციის ბოქაული იაშენკო რამდენისამე „სტრაჟნიკით“. მთელ აბაშის საზოგადოების წევრნი დაესწრნენ ამ დღეს საზოგადო ყრილობას სოფლის სასამართლოს ეზოში. ბ-ნმა მაზრის უფროსმა საზოგადოებას აუხსნა, რომ საჭიროა შეურყეველად დაცვა დღევანდელის წეს-წყობილებისაო. მისმა კეთილმა რჩევა-დარიგებამ გავლენა იქონია ხალხზედ.

აბაშის საზოგადოებას არამც თუ მაზრის უფროსი, არამედ პოლიციის ბოქაულიც არ სტუმრებია რამდენიმე წელია და დღეს მაზრის უფროსის მოსვლას ყველას მისდამი პატივისცემა გაუორკეცა.

მაისის დამლევს აქ მობრძანებულა სამინისტრო სკოლის დასათვალიერებლად სახალხო სკოლების ინსპექტორი და, შემდეგ მოწაფეების გამოცდისა, დიდი მადლობა მიუძღვნია მასწავლებელ ლ. გეგუჩაძისათვის. ინსპექტორს რჩევა მიუცია მასწავლებლისათვის, რომ იმეცადინოს სკოლის ორ კლასიანად გადაკეთებისათვის, რისთვისაც აღუთქვამს დახმარება საზოგადოების მცხოვრებთათვის ერთის მასწავლებლით და ერთ დროებითად ხუთას მანეთამდე ფულით.

სოფ. ნაგორზღვის სამრევლო სკოლის მასწავლებელი
მელქისედეკ თევზაძე.

კავკასია

უჯარა, 15 ივნისსა, ამ ბოლოს დროს, როგორც რუსეთის პრესა, აგრეთვე კერძო კაცნი სცდილობენ რაიმე ღონისძიება მოიგონონ მალიარიით ციებ-ცხელების საწინააღმდეგოდ და, როგორც „ახალ მიმოხილვა“ (5 ივნ. № 6414) მოგვითხრობს რუსეთიდგან ხარკოვისა და ყაზანის უნივერსიტეტების ცნობილი ექიმებისაგან შემდგარი ექსპედიცია გამომგზავრებულა კავკასიაში, რომელიც ივნისიდგან ოქტომბრამდე დარჩება, რათა ადგილობრივ შეისწავლოს ეს ავადმყოფობა და თან საწინააღმდეგო საშუალებანიც გამოსძებნოს.

რადგანაც მთელი ოცდახუთი წელიწადი ამ ციებ-ცხელებიან ალაგებში გამიტარებია და თვითონ მალიარიაც თავს გადამხდომია, საჭიროდ ვსცნობ ჩემი აზრი ამ საგანზედ მკითხველებსაც ვაუწყო: ციება იჩენს ნიადაგსა იმისთანა ადგილებში, სადაც წყლები გლახა არის და ზაფხულობით დიდი სიცხეები იცის. ამისთანა ადგილები კავკასიის აღმოსავლეთ ნაწილში არის ყარაიას მინდვრებიდგან დაწყებული მტკვრის ორივე მხარეზედ ახლო-მახლო მდებიარე ჭალები, ვიდრე ეს მდინარე კასპიის ზღვაში ჩაერთვის; ასე რომ სიგრძით ხუთას ვერსამდე, ხოლო სიგანით ოცდა-ათიდან ასს ვერსამდე; რაც მოსავლიანი და კარგი ნაყოფიერი ალაგებია, სულ ამ ჭალებიდან შესდგება და, რადგანაც აქ მისვლა-მოსვლა, გზების უქონლობის გამო, იმდენად გასაჭირი არ არის, როგორც მთამაღალ ადგილებში, ამიტომ მცხოვრებლები იმ თავიდგან ამ ჭალებში უფრო ჩასახლებულან, ვიდრე უნაყოფო მთებში. ცხოვრება, ზნე, ხასიათი, რჯული, ჭამა-სმა მცხოვრებ მკვიდრთა ხუთასის ვერსის მანძილზე ბევრად არ სხვა-და-სხვაობს: იგივე ჩალამ-კალამისაგან აგებული, მიწით დახურული და შელესილი, უმჯობეს შემთხვევაში ალიზის შენობა, იგივე ბღვრიე არხის წყალი სასმელად, რომელმაც რამდენიმე ბოსტანი და ყანა მორწყო, იგივე ერთი მეორისგან დიდ მანძილზედ დაშორებული სოფლები, რის გამოც, კავშირის და მოყვასობის მაგიერ, ერთმანეთში ხშირად შური და განხეთქილება ინერგება. ზემოხსენებულ ადგილებში მთელს მანძილზედ ნამეტანის სიცხის გამო დედამიწა იმდენად ხმება, რომ, არამც თუ ზაფხულში, არამედ ზამთარშიაც, მოურწყავად არავითარ ნაყოფს არ იძლევა. ამიტომ როდესაც მორწყული ალაგები შრება, მისი ოხშივარი, ორთქლი ცუდად აზავებს ჰავას.

დღისით სიცხე ზაფხულობით ხშირად ორმოცდა რვა გრადუსამდე ადის და გახურებულ კაცს ნამეტნავად აწყურებს წყალსა, ხოლო ღამით კავკასიონის გადმომყურე ორთავე მხრივ მთები ჰაერს ერთბაშად აგრილებს და სითბო ეშვება ვიდრე ოთხ-ხუთ გრადუსამდე. აი, ამ ჰაერის ასეთი უეცარი ცვალებადობა, სიცხე-სიგრილე იმდენად ცუდად მოქმედებს კაცზედ, რომ ხშირად ცივდება, ჯერ უბრალო ციებით ავად ხდება და თუ ჰაერი არ გამოიცვალა და მთაში არ წავიდა, ისე კიდეც რომ იაქიმოს, ციება მაინც თანდათან უძნელდება, ტანში უჯდება, ასუსტებს, ჭამის მადას უკარგავს; ანდომებს ისე მჟავე ურგებ საჭმელებსა და ხილსა, რომელიც ციებას უფრო აძნელებს. გაყვითლებული ავადმყოფი ვარდება ოფლში და მოუწყობელ ცხოვრების გამო ხშირად უფრო ცივდება; შემდეგ რამდენადაც ფილტვები იზდება, იმდენად კუჭის და თან ჰაჰების მოქმედება სუსტდება. ავადმყოფს კარგი სისხლი თანდათან ეხარჯება, უფუჭდება და, ნაცვლად, საჭირო ახალ სისხლს, დასუსტებული კუჭი და მთელი აგებულება სამყოფად ვერ ამზადებს. ამას მოჰყვება პირისახის, ფეხებისა და მუცლის სიმსივნე და ზოგიერთ შემთხვევაში მალარია გადადის წყალმანკად და ჭლექათ. უსისხლო, დასუსტებულ ავადმყოფს მეტად იმორჩილებს ძილი, მეტად აწუხებს უზარმაზარი სიზმრები და გამოღვიძების შემდეგ ყოველივე საგანი ყვითლად ეჩვენება. ზოგიერთ შემთხვევაში ავადმყოფს სტომაქი ეშლება და რამდენისამე დღის ფაღარათობის შემდეგ მუცელკეთილად გადადის და წუთი-სოფელს ასალმებს.

ხალხს დიდი ხანია შეგნებული აქვს, როგორც ეს სენი, ისე საწინააღმდეგო საშუალება, რომ აქ, მეტადრე ნესტიან და სიცხიან ჭალებში, მარტო ექიმობა, ესე იგი წამლობა ბევრს არას გააკეთებს, უკეთუ შესაფერი ცხოვრება და კარგი გაყვანილი წყლები არ ექნება ხალხსა და ამიტომ ეხლანდელ გარემოებაში საუკეთესო საშუალებად მიაჩნიათ ზაფხულობით უფრო კარგ ჰავაში მთად ყოველისავე ავლა-დავლით და ოჯახობით გახიზვნა. ამის დაგვარად, მე მგონია, ვისაც გაჭირვებულ ხალხისათვის ცოტაოდნად გული შესტკივა და ამითი დახმარება და უდროვო სიკვდილისაგან დახსნა სურს, აი, ამ გადახიზვნის საქმის გაუმჯობესობას უნდა ეცადოს, რომ ხალხს გაუადვილდეს ეს შეგნებული საშუალება, თორემ, რაც მამულებს ხარჯი მოემატა, მემამულენი ამ გადასახადს ერთი ასად ამ გახიზნულ ხალხიდგან ჰბოჭავენ და სახაზინო მიწები კიდევ იჯარით ვინმე ვაჭრებს საჯარო ვაჭრობაზედ ხელში რჩებათ და ესენი კიდევ ზედ მეტად ისევ ხიზნებს აქირავებენ.

აგრეთვე ერთ უმთავრეს დამაბრკოლებელ მიზეზად უნდა ჩაითვალოს ამ უკანასკნელ წლებში შემოღებული წეს-რიგი, რომ უკეთუ ადგილობრივ მამასახლისის მოწმობა მაზრის ბეითალმა არ შეამოწმა, ისე ხიზანს ადგილიდგან დაძვრა არ შეუძლიან და კიდევ ზოგიერთ შემთხვევაში ადგილობრივი ადმინისტრაცია მშვიდობიანობის დასაცველად საუმჯობესოდ ჰსახავს, რომ კერძო კაცებს და ხან მთელს სოფელს გადახიზვნის ნება-რთვა არ მისცეს.

კავკასიის რკინის გზის მმართველობას ეს სენი შეგნებული აქვს და, ვინ არ იცის, რომ იმას, თუმცა სხვა-და-სხვა სადგურებზედ აფთიაქები, ფერშლები და ექიმებიც ჰყავს, მაგრამ ზაფხულობით ბაქოს ნაწილიდგან მოგროვილ წვრილ მოხელეებს, ნესვივით დაყვითლებულებს, სურამსა და ბაკურიანში ჰგზავნიან და ორის თვის შემდეგ იქაურ კარგის ჰავით თითქმის განთავისუფლებულნი ავადმყოფობისაგან უკან ბრუნდებიან.

რაიცა შეეხება იმ აზრსა, ვითომ საჭიროდ ცნობილია ხალხის მალიარიისაგან დასაცველად პირის სახისა და ხელების დოლბანდით ბუზებისაგან და კოღოსაგან დაფარვაო, ეს რაღა თქმა უნდა დაბალ მუშა ხალხში ვერ გამოდგება, მით უმეტეს, რომ კოღო თავისი საპენი გრძელ ნისკარტით საზამთრო სქელ ტანისამოსშიაც ატანს. აგრეთვე ცხადია, რომ ღამით კოღო და დღისით ბუზები ძლიერ აწუხებენ კაცსა და მათი ნაკბენი სიცხეში გაოფლიანებულ კაცს ხშირად უსივდება და უკეთუ საშუალება არ მიიღო, ბინძურის ხელით მოიფხანა, მუწუკები უჩნდება და ძლიერ ასუსტებს.

ცუდი ჰავა და მეტის-მეტი სიცხეები ცუდად ჰმოქმედებს პირუტყვზედ და შინაურ ფრინველებზედაც. ზაფხულობით მთაზედ დარჩვეული საქონელი, ბარში დარჩენილი, სიცხეს ვერ იტანს და სამი ოთხის დღის ავადმყოფობის შემდეგ კვდება. ფრინველთა შორის ბატი სრულებით ვერ იტანს სიცხეს და მშრალ ჰაერსა; მადა ეკარგება, ფეხი ეკვეთება სიარული სრულებით აღარ შეუძლია და რამდენისამე დღის შემდეგ კვდება. ამ გარემოებაში ავადმყოფი დაფეხვილი ბატი ზაფხულში, მზეზედ რომ ორმოცდა რვა გრადუსი სიცხე იყო, ჩავსვი დასუფთავებულ მორწყულ გრილ სარდაფში, რომელშიაც სითბო არა უმეტეს თორმეტის გრადუსისა იყო, დავაღე ფანჯრები, რომ წმინდა ჰაერს თავისუფლად ემუშავა და თან დაუდგი ბლომად წმინდა წყალი, რომელსაც ხშირად უცვლიდით და, სამის, ოთხის დღის შემდეგ, ბატი სრულებით განთავისუფლდა; შემდეგ სამის კვირისა კიდევ ავად გახდა, მაგრამ კიდევ ეგრეთივე საშვალება ვიხმარე და მთელი ზაფხული არც ერთი არ მომკვდომია, ხოლო სხვა მეზობლებს, ვისაც ეს საშვალება არ უხმარია, სულ დაეხოცა.

ამისდაგვარად უპირველესი გამაკურნებელი ძალა ჰაერსა აქვს. მახსოვს, ამ ათის წლის წინად, რკინის გზის სამკურნალოს გამგე ბ-ნი სახაროვი ციებიან ალაგებში დასიცხულდახუთულ ბატებს აგროვებდა ქალაქში და უცრიდა ციების საწინააღმდეგო წამლებსა, რის შემდეგ დრო-გამოშვებით ბატი კარგად ხდებოდა და მგონი ამ საშუალებით ის დაასკვნეს, რომ თითქო ციებისაგან მარტო აცრით რჩება ბატიო, მაგრამ მე კი დარწმუნებული ვარ, სადაც ფრინველი ავად გახდა, იქ იმ ჰავაში რამდენიც უნდა აუცრან, უკეთუ უმჯობეს ჰავაში არ გადიყვანენ, აცრით მიღებული წამალი იმას არა არგებს.

გ. ცხომელიძე.

რუსეთი

საერო განათლების სამინისტრომ განმარტა, რომ ისინი, ვისაც საოსტატო სემინარია დაუსრულებიათ, ვალდებულნი არიან როცა სამოქალაქო სასწავლებელში მასწავლებლობაზე ეგზამენს იჭერენ, ყველა საგნებში მომზადებულნი იყვნენო.

— ფინანსთა მინისტრს წარუდგა კიშინევის ვაჭართა წოდების დეპუტაცია, რომელმაც მოხსენება მიართვა; გაჭირვებულ მდგომარეობაში ვიმყოფებით კიშინევში მომხდარ უბედურების გამოო. დეპუტაციაში ერთი ქრისტიანი ყოფილა, რომელიც ჟირარდოვის მანუფაქტურის წარმომადგენელი, და ორიც ებრაელი კოგანი და რიხტერი. დეპუტატები სთხოვდნენ, კრედიტი მოგვესპო და რამე უნდა გვისაშუალოთო. ვიტემაც აღუთქვა დახმარება. ვიტე მართლაც დაეხმარება, მაგრამ ღარიბ ებრაელების ოჯახს რა სარგებელი ექნებათ რომლებსაც არც მაღაზიები ჰქონიათ, არც და საქონელი!

— უეცრად გარდაიცვალა „Научное Обозрѣніе“-ს რედაქტორი მიხეილ მიხეილის ძე ფილიპოვი. სიკვდილის წინა დღით სრულიად ჯანმრთელად გრძნობდა განსვენებული თავს. მიზეზი ასეთი უცების სიკვდილისა სისხლის ავარდნა ყოფილა ტვინში. ფილიპოვი ერთი გამოჩენილი და შესანიშნავი მწერალი იყო რუსეთში. მან ზედმიწევნით იცოდა ძველი და ახალი ფილოსოფია, საზოგადოებრივ მეცნიერებაშიაც იშვიათად ჰყავდა მას ტოლი. მისი ასე უდროვოდ სიკვდილით, მეცნიერება ჰკარგავს ერთს თავგანწირულ მებრძოლს თავისუფლებისა და ჭეშმარიტებისადმი.

— 5 ივნისს კიევის სატუსაღოში ხელმეორედ მოხდა არეულობა. ერთს ტუსაღს გაულახავს ციხის ზედამხედველი. ზედამხედველმა მოინდომა ტუსაღის შეპყრობა. მან ამოიღო რევოლვერი; ტყვემ მორთო ყვირილი და მთელი სატუსაღო ააფორიაქა, ყველა ფეხზე დადგა. ტუსაღები ჰყვიროდნენ და ილანძღებოდნენ. ციხის მთავრობამ, რომ ვერა გააწყორა, გამოიწვიეს ჯარი, ტუსაღებს აშინებდნენ გასრვითო, მაგრამ მაინც არ შეშინდებოდნენ, გუბერნატორი და ციხის ინსპექტორი უნდა მოვიდნენო. ამბოხების მეთაურები სხვა ცი-

---

ბა“ (maladie du doute)-ვის არ გამოუცდია ტანჯვა უსაფუძვლო და უადგილო ეჭვისა. ახლა წარმოიდგინეთ ისეთი ადამიანი, რომელიც მთელ თავის სულიერი არსებით მისცემია ეჭვის „აბეზარ“ ფიქრებს, არა აქვს მოსვენება არც დღე, არც ღამე, მუდმივ სულიერ ტანჯვაშია და ნათლად წარმოგიდგებათ ამ გვარი სულით ავადმყოფი.

ასეთივე სულით ავადმყოფია ის და შეპყრობილი „აბეზარ იდეებით“, რომელიც, ვსთქვათ, დაიწყებს ლოცვას თუ არა, სასოების მაგიერ, საშინელი ბინძური და უწმაწური სიტყვები მოსდის ფიქრათ; სცდილობს განდევნოს ეს აზრები და თავი მისცეს ლოცვას, მაგრამ ამაოდ; ამ დროს საშინელ სულის ტანჯვას ჰგრძნობს.

ჰგორაფობიაც ახირებული სულით ავადმყოფობაა. როგორც კი მიუახლოვდება ამ გვარი ავადმყოფი გაშლილ ადგილს—მოედანს, განიერ ქუჩას, მინდორს, მაშივნე უძლეველი შიში შეიპყრიაბს; ერთის ნაბიჯის გადადგმაც აღარ შეუძლიან; ვერც თვითონ, ვერც სხვა ვერ გააბედვინებს ფეხი წასდგას წინ; ხოლო საკმარისია ბავშმაც ხელი მოჰკიდოს, რომ გაჰყვეს, თვითონ-კი მთელი დღე იქნება უძრავად და ვერ შესძლებს ფეხის გადადგმას.

სულ ცოტა ხანი იქნება, რაც Pitres-მა და Regis-მა გამოიკვლიეს ახალ გვარი სულით ავადმყოფისა, რომელიც ეკუთვნის ზემო აღწერილ ჯგუფს; ამ სენს ჰქვიან სახელად „ერითროფობია“, „გაწითლების შიში.“

„გაწითლების შიშით“ შეპყრობილი ადამიანი ისეთი ავადმყოფია, რომელიც სულ უბრალო რამის გამო ღელავს და ამ მღელვარების დროს უწითლდება მთელი სახე. პირველში, როდესაც სენი ჯერ კიდევ მორეული არა აქვს, სცდილობს თავი შეიკავოს და არ გაწითლდეს, მაგრამ რამდენადაც უფრო სცდილობს, იმდენად უფრო ჰღელავს და სახე უწითლდება.

რუსის ექიმს გერმანს ერთ სამედიცინო ჟურნალში ამ გვარი ავადმყოფი ჰყავს აღწერილი: ჯერ კიდევ მოსწავლე იყო ეს ავადმყოფი, რომ გაწითლების შიში დასჩემდა. პირველში ამ ავადმყოფობას არა ჰქონდა თვისება „აბეზარ იდეისა“, მხოლოდ სულ უბრალოზედ სახე უწითლდებოდა; ყოველი მცირე სულიერი მღელვარება საშინელ სახის სიწითლეს იწვევდა. საკმარისი იყო ვინმეს დაკვირვებით შეეხედნა, რომ გაწითლებულიყო. როცა უცხოს, განსაკუთრებით როცა ქალს ელაპარაკებოდა, სახე უწითლდებოდა; მასწავლებელი გაიწვევდა თუ არა გაკვეთილის საკითხავად, მაშინვე სიწითლე მოუვლიდა.

რამდენიც დრო გადიოდა, იმდენად უფრო უძლიერდებოდა ეს სენი. სულ იმის შიშში იყო, ვაი თუ სახე გამიწითლდესო. ყოველივე ხუმრობა და სიცილი საზოგადოებაში თავის დაცინვად მიაჩნდა, ასე რომ იძულებული იყო განცალკევებით ეცხოვრა.

ამასთან ერთი უბედურებაც დასჩემდა; სახის გაწითლების დროს, ჭირის ოფლს ასხავდა სახეზედ და ეს რასაკვირველია, კიდევ უფრო აორკეცებდა მის ტანჯვას.

თავის კარგ ნაცნობებთან როცა იყო, ამათთან, ვინც იცოდნენ ეს მისი სენი, გაწითლების შიში ისე ხშირად არ მოუვიდოდა ხოლმე. ხოლო როცა უცხო საზოგადოებაში იმყოფებოდა, მაშინ მეტის-მეტად იტანჯებოდა. სცდილობდა, როგორმე განედევნა ეს შიში, მართლაც, პირველად თითქოს სძლევდა ამ შიშს და თავისუფლადაც ამოისუნთქავდა, მაგრამ უცბად ისეთი ძლიერი შიში წამოუვლიდა, რომ სახე მთლად გაუწითლდებოდა და ოფლით დაუსველდებოდა. გულის ყური სრულიად დაეკარგა და ან რა გასაკვირველი იყო: მთელი მისი სულიერი არსება დაპყრობილი იყო ამ გაწითლების შიშით. რამდენისამე წლის შემდეგ იძულებული შეიქმნა საავადმყოფოში შესულიყო.

ამ გვარი ავადმყოფი რომ გაშინჯოთ, გადაგვარების ნიშნებს უპოვნით; აღმოაჩენთ, რომ მათი წინაპარნი ნერვებით სუსტნი ყოფილან, გადაგვარებულან ლოთობით, სიფილისით და სხვა დამაუძლურებელ სენით. მემკვიდრეობით საღი ადამიანი ამ გვარი სენით არ გახდება ავათ.

ექიმი ბაღრიძე.

ხეში გაგზავნეს. ეგონათ საქმე დაწყნარდაო, მაგრამ ნაშუადღევს, ორ საათზე, ისევ ყვირილი და ვაი უშველებილი შეიქნა, დალეწეს ფანჯრები, ბუხრები, ისროდნენ ქვებს. უწესოება მეტის მეტად გამწვავდა. სალდათებმა შესაშინებლად თოფები დასცალეს. წესიერება როგორც იქნა აღადგინეს (Кіевлянинъ).

უცხოეთი

სერბია. გაზ. „ფრანკფ. ზეიტ".-ის კორესპონდენტს, უნახავს პეტრე მეფე და სხვათა შორის შეთქმულთა დასჯის შესახებ შეჰკითხებია. მეფე ამ საქმეს სახელმწიფო ცვლილების მოხდენას—სერბიის შინაურ საქმეთა სთვლის და საჭიროდ მიაჩნია, რომ მომავალი მთავრობა მშვიდრად შეუკავშირდეს სკუპშინას და მისის დადგენილებით უნდა იხელმძღვანელოსო. ამ სიტყვებიდანა სჩანს, რომ მეფე ცვლილების მოხდენათა შესახებ სკუპშინის სურვილისამებრ მოიქცევა.

მეფის შვილი, გიორგი ბელგრადს გაემგზავრა, რადგან კანონის ძალით ტახტის მემკვიდრემ განათლება უეჭველად თავის სამშობლოში უნდა მიიღოს.

საყურადღებო საუბარი ჰქონია ავვაკუმოვიჩს გაზ., „ჟურ. დ'ოტად."-ის კორესპონდენტთან; ავვაკუმოვიჩს უთქვამს, ახალი მეფე, ალბად დაუახლოვდება რუსეთს, რომელსაც უდიდესად თანაუგრძნობს და პატივსა სცემსო. არეულობის მომხდენთა შესახებ უთქვამს: მოგვეცით დრო, და თქვენ დაინახავთ, რომ სერბები—ველურები არ არიან; დამნაშავენი ჯეროვან სასჯელს მიიღებენო.

გაზეთ „მატენ"-ის კორესპონდენტი პიერყიფფარი ასე მოგვითხრობს, ყოფილი მინისტრ-პრეზიდენტის გენერალ დიმიტრი ცინცარ-მარკოვიჩის მოკვლის ამბავს: მაისის 28-ს შინ გვიან დაბრუნებულა სასახლიდგან, მიუმართავს ცოლისათვის და მხიარულად უთქვამს:

— დღეს მე მეფეს სამსახურიდგან გადადგომის ქაღალდი გადავეცი. საქმე გათავებულია. მე ძლიერ მოხარული ვარ, რომ განვთავისუფლდი და დღეის შემდეგ სახელმწიფო მმართველობაში მონაწილეობას აღარ მივიღებ. თუ ღმერთი გწამს, ერთი ჭიქა ღვინო დამალევინე.

— რა ამბავია, რა მოხდა?—ჰკითხა მეუღლემ.

— მეფემ მომთხოვა, რომ მომეწვია სამხედრო სასამართლო და სიკვდილით დასჯა გადამეწყვიტა დედოფლის ძმების, ლუნიევიცების, ყველა მტრებისათვის. მეფე მიჰქარავს, ჭკუიდან შეშლილა სწორედ! ამბობს, რომ სერბიიდან ათასი კაცი უნდა გაიდევნოს და 90 სიკვდილით უნდა დაისაჯოსო. აგრეთვე მას გადაწყვეტილი აქვს თავისი ცოლის ძმა ნიკოდიმ ლუნიევიცი ტახტის მემკვიდრედ გამოაცხადოს; აბა როგორ შემეძლო ამას დავთანხმებოდი! აი ამიტომა ვარ მოხარული, რომ სამსახურს თავი გავანებე.

ეს საუბარი მოხდა საღამოთი, ხოლო ღამის ორ საათზედ ცინცარ-მარკოვიჩი უკვე მოკლული იყო. შეთქმულებმა არ იცოდნენ მისი სამსახურიდგან გადადგომის ამბავი. ცინცარ-მარკოვიჩის ბინაზედ გამოგზავნეს ერთი ოფიცერი და სამი ჯარის კაცი. ამათ დანახვაზედ მინისტრ-პრეზიდენტი სარდაფში დამალულიყო, მაგრამ მკვლელებმა მაინც მოძებნეს; თუმცა პრეზიდენტის მეუღლე და შვილები ბევრს ეხვეწნენ ოფიცერს, მაგრამ მაინც არ დაინდეს და მოჰკლეს. ცინცარ-მარკოვიჩს დარჩა ცოლი და შვილი ობოლი.

გერმანია. რეიხსტაგის უკანასკნელ არჩევნებში სოციალ-დემოკრატთა დასის გამარჯვებამ დიდი სჯა-კამათი ასტეხა გერმანულ გაზეთებში.

გაზ. „ნორდ. ალ. ზეიტ."-ი იწვევს ყველას შეერთდნენ საზოგადოდ და მეგობრულ ბრძოლისათვის სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ. „ეხლანდელს მდგომარეობაშიო,—ამბობს გაზეთი,—ყოველმა დასმა თავის წმინდა მოვალეობად უნდა დასახოს შეერთება ერთმანერთთან ბრძოლის გამოსაცხადებლად მათ საზოგადო მოწინააღმდეგესთან — სოციალ-დემოკრატებთანაო. უნდა დავივიწყოთ ყოველივე კერძო განხეთქილება და პირველს შემთხვევაში, ხელ-ახალ კენჭის ყრის დროს, ერთხმად და მეგობრულად მისცეთ საწინააღმდეგო ხმა სოციალ დემოკრატებს, სადაც უნდა იყვეს მათი კანდიდატურა წამოყენებულიო.

გაზ. „რეთხ."-ი შენიშნავს,—სოციალ-დემოკრატების დასთა გამარჯვების იმ გარემოების ახსნა, ვითომ ბოლო დროს ხალხში დიდი უკმაყოფილება დაიბადა,—უსაფუძვლოაო. გაზეთი ამბობს,—კათოლიციზმის გაძლიერების შიში უმთავრესი მიზეზი სოციალ-დემოკრატთა გამარჯვებისაო.

კონსერვატიულ გაზეთების უმრავლესობა იწვევს ხალხს უკიდურეს ელემენტების საწინააღმდეგოდ.

გაზ. „ვორვ."-ი სწერს: „ბერლინმა გასწყვეტა ყოველი კავშირი რეაქციასთან და გახდა უმთავრესი ქალაქი სოციალ-დემოკრატებისა. 5 საარჩევნო ოლქში გაიმარჯვეს სოციალ-დემოკრატთა დასებმა ხმის დიდის უმრავლესობით. გერმანიის ხალხმა ამ არჩევნების დროს გამოუცხადა თავისი იშვიათი პროტესტი რეაქციას, რომელიც გამეფებული იყო ამ უკანასკნელ დროს გერმანიის შინაურ პოლიტიკაში".

გაზ. „ბერლ. ტაგებლ."-ი შენიშნავს,—ლიბერალები დამარცხდნენ იმიტომ, რომ ერთობა არა ჰქონდათო. მაინცაო,—ამბობს გაზეთი,—ნაციონალ-ლიბერალები და კათოლიკე ცენტრი შეინახვენ თავიანთ პოზიციას რეიხსტაგშიო. კონსერვატორებს თავიანთი ადგილები მტკიცედ ეპყრათ პრუსიისა და პომერანიის აღმოსავლეთ პროვინციებშიო.

თეატრი და ხელოვნება

ქუთაისი. ქუთაისში 15 ივნისს გაიმართა იაფ-ფასიანი წარმოდგენა ხალხისათვის, რომელიც ამ ბოლოს დროს უფრო მუყაითად დადის თეატრში და პიესების შინაარსის შეგნებას სცდილობს.

წარმოადგინეს „დამნაშავეა", დრამა 3 მოქ. თარგმანი ნიკიტინისა და „დედის ერთა", ვოდ. 1 მოქ. ვ. გუნიასი. წარმოდგენა კარგი იყო, ყველანი რიგიანად თამაშობდნენ, გარდა ორისამის კაცისა. დიდად სასიხარულოა, რომ ჩვენს რიცხვ-მცირე სცენის მოყვარულებს მიემატა ორი სცენის მოყვარული ქ.ქ. ივანიშვილი და გიორგიძე, რომლების თამაშმა ნათლად დაგვანახა, რომ შეუძლიანთ თამამად სცენას ემსახურონ. მხოლოდ ერთი უბედურება სჭირს ჩვენს ხალხს; როდესაც დრამატიული მომენტებია ამ დროს ხალხში საზოგადოდ სიცილი და ხუმრობა ისმის: „აი, არ მოკლა", „შეხედე, უკნიდგან გეპარება", „არ გაუშვა" და სხვ.

რუის-პირელი.

ნარკვევი

„Гражданинъ"-ში დაბეჭდილია მღ. მოლჩანოვის წერილი, თუ როგორ დაცემულია სულიერად სოფლის სამღვდელოება.

„მთელ სამღვდელოებას სასულიერო დაბალს, თუ საშუალო სასწავლებელში აქვს სწავლა დამთავრებული,—სწერს მღ. მოლჩანოვი. ვსწავლობდი პირველად სემინარიაში. ორი წელიწადი სასულიერო აკადემიაშიაც ვიყავი, როცა მღვდლად გამამწესეს სოფელში, ვიფიქრე—ეხლა არაფერი მიჭირს-მეთქი. სამღვთო-წერილს, ღომილეტიკას და პრაქტიკულ სახელმძღვანელოს დიდხანს ვსწავლობდი, მაშ მეტი რაღა მინდა-მეთქი.

მაგრამ, როცა ცხოვრებაში შევდგი ფეხი, მომესმა იქიდან-აქედან ხმა: ეგ ეგრე არაა, ცხოვრებას ვერ იცნობ, ადამიანებს ვერ იცნობ, ჯერ გაიგე, ჯერ შეისწავლე ცხოვრება, საზოგადოება და მერე დაუწყე წამლობაო. გვაფრთხილებდნენ, თუ არა სკოლაში ამის შესახებ? გაგვაცნეს, თუ არა საზოგადოებისა და ხალხის საჭიროება და მოთხოვნილებანი? გვანებებდნენ, თუ არა ხეირიან ჟურნალ-გაზეთობას, გარდა „Русс. паломникъ"-ის კითხვას? სად იყო ან ერთი, ან მეორე, ან მესამე. ჩვენ გაგვაცნეს სასწავლებელში ზოგიერთი ადგილები ჩვენის ეკლესიის მამების ნაწარმოებიდან, რომლებიც თანამედროვე ცხოვრებას არ შეეფერებოდა; ჩვენ გვასწავლეს ღვთის მეტყველების ძირითადი საკითხები. ჩვენ გაგვაცნეს კრიტიკულ აზრს ამ გვარად: ეს თეორია ცრუ აზრებით არის სავსე. ამისათვის მაგაზე დიდ ხანს გაჩერება არ ღირს; მისი სიყალბე მორწმუნეთათვის აშკარაა. რა წამს ცხოვრებაში გამოვედით და ხალხთან დავუჭირეთ საქმე, ჩვენი გონებრივი და სულიერი სიღატაკე აშკარა შეიქნა.—ეე, რას ამბობთ, ეს აზრი კაი ხანია დაძველდა. მეცნიერება ახლა აი რას ამბობსო", გვეუბნებოდნენ. ეს ახალი ჩვენთვის-კი უცნობია. ჩვენ საზოგადოებას აღელვებს დღეს საზოგადოებრივი, ეკონომიური, სოციალური და სხვა ამ გვარი საკითხები. ყველა ამ გვარს საქმეში ჩვენ ინჩიც არ გაგვეგება.

გამოაშკარავდა, რომ ჩვენ გვაკლია საზოგადოებრივი მომზადება. საუბედუროდ მაინც ცდილობენ სემინარიისა და საზოგადო სასულიერო სასწავლებლის პროგრამა უფრო შეკვეცონ და შეამცირონ. ეს-კი დიდი შეცდომა იქნება. მღვდელმა სოფლის ცხოვრებაში ყველაფერი უნდა იცოდეს. საზოგადოებრივი მოვლენის ახსნა და განმარტება მას უნდა შეეძლოს. გვეტყვიან: თქვენ თქვენი საგანი—სამღვთო სჯული—კარგად იცითო, წარმოიდგინეთ, რომ თავის საგანიც არ ვიცით ისე, როგორც რიგი და წესია. ჩვენ არ ვიცნობთ, არ ვიცით თითონ დაბადებაში რა სწერია. ღვთის სიტყვა ჩვენთვის უცნობია. ჩვენ ნაჭუჭის გარშემო თავს ვიტეხდით, სული და გული-კი უცნობი გვრჩებოდა. აი, ასეთი ცოდნითა და მომზადებით მავდივართ ხოლმე ხალხის და მრევლის საწინამძღვროდ".

მეტის მეტი გულ-ახდილი და გულ-უბრყვილო ყოფილა მღვდელი მოლჩანოვი. მას არ სცოდნია, თუ რა არის სამღვდელოების ნამდვილი დანიშნულება. მას ჰგონია, რომ ეს დანიშნულება საზოგადოებისა და ხალხის გამოფხიზლებაა. მას ჰგონია, რომ სამღვდელოების მოვალეობა საზოგადოებრივი მოვლენათა ჭეშმარიტად გადაჭრა-გადაწყვეტაა. მას ავიწყდება, რომ სარწმუნოება ოპიუმია, რომელიც აძინებს ადამიანს და უხშობს მას ყოველ გვარ მისწრაფებას, კრიტიკისა და აზრის აწონ-დაწონვისაკენ. გამორჩენია ყველაფერი ეს მღვდელს მოლჩანოვს, მაგრამ გასაკვირი კია, რისთვის გამორჩა.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან")

17 ივნისს.

ბელგრადი. მიღებულ იქმნა პასუხი იტალიის მეფისა პეტრე მეფის ტახტზედ ასვლის ცნობაზედ.

ბელგრადი. სკუპშჩინის კრებაზედ, რომელზედაც წაკითხულ იქმნა მეფის ბრძანება სკუპშჩინის დათხოვნის შესახებ, მინისტრმა სიტყვა წარმოსთქვა და მადლობა შესწირა მთავრობას მეფის არჩევისათვის. მინისტრმა განაცხადა,—მთავრობას განზრახვა ჰქონდა სკუპშჩინისათვის განსახილველად წარედგინა ზოგიერთი მეტად საჭირო საფინანსო საკითხნი, მაგრამ ამჯობინა მათი გარდაწყვეტა ახალს სკუპშჩინას მიანდოსო. მთავრობა სიტყვას იძლევა, რომ ყოველ ღონის ძიებას იხმარს, რათა სრულიად თავისუფლად მოხდეს სკუპშჩინის ახალი არჩევნები და ამგვარად არჩევნების შედეგი ნამდვილი გამომხატველი იქნეს სერბიის ხალხის სურვილისაო.

პორტ-არტური. სამხედრო მინისტრის მოსვლის გამო „ჟონარ ტაიმსი" ამბობს,—რუსეთს სრულიადაც არ უნდა აშინებდეს იაპონიის მისწრაფებანი, რომელთაც მშვიდობიანი ხასიათი აქვსო.—კონ-კონგიდგან იუწყებიან, შავი ჭირი თანდათან ძლიერდებაო.—Echo de Chine, რომელიც შანჰაიში გამოდის, დიდად ჰკიცხავს ინგლისის გაზეთობას მანჯურიის საქმეების გამო: „რუსეთს ძვირად დაუჯდა მანჯურიის ველურ ქვეყნის ეკონომიურ ცენტრად გარდაქმნა, რომელიც ეხლა ყველას შეჰშურს. ვკითხავ იმ ერთა, რომელნიც ჩინეთს აქეზებენ: ნუ თუ მათი საქციელი უსინიდისობა არაა? კმარა ამდენი ცეცხლზედ ცეცხლის დამატება!"—იაპონიის გაზეთები ამბობს,—რუსეთს განზრახვა აქვს რკინის გზის ლიანდაგით შეაერთოს კიახტა და პეკინი და ამგვარად მონღოლიაც მეორე მანჯურიად გარდააქციოსო.—„ნოვი კრაი" დაჟინებით თხოულობს—რუსეთის სავაჭრო გემებზე მოსამსახურე ზღვაოსანთა შესახებ კანონების შეცვლას, რათა სამხრეთ-ჩინეთის იაფ ზღვაოსნებით შეიძლებოდეს სარგებლობა.

სოფია. სტამბოლიდან იუწყებიან,—დიდმა ვეზირმა იმ ამბების უცოდინარობის გამო, რომელნიც დასახელებულია ბულგარიის მთავრობის ნოტაში საზღვრებზედ ოსმალეთის ჯარების გამრავლების შესახებ, აღუთქვა ხუთის დღის განმავლობაში საჭირო ცნობებს შევკრებ სამხედრო მინისტრთან და პასუხს მოგცემთო. დანიშნული ვადა გავიდა, მაგრამ პასუხი მაინც არ მიუღია მთავრობას; ამის გამო ბულგარიის მთავრობა ამზადებს დიდ სახელმწიფოთა მიმართ ცირკულიარულ ნოტას, რომელშიაც მათს ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ საზღვრებზედ ოსმალეთის მთავრობა დიდძალ ჯარს უყრის თავსა. ბულგარელ მკვიდრთ, მღვდლებსა და სოფლის მასწავლებლებს თანდათან უფრო მეტის სისასტიკით სდევნიან.

18 ივნისს.

ბელგრადი. ზომიერი რადიკალები, რომელთაც პაშიჩი და ვუიჩი მეთაურობენ, ისე უყურებენ სერბიის ახალ მდგომარეობას, როგორც რადიკალთა დასის გამარჯვებას 30 წლის ბრძოლის შემდეგ, იმ დასის, რომელიც მოწადინებული იყო ისეთი კონსტიტუცია შემოეღო, რომ სერბიაში პოლიტიკური თავისუფლება დაემყარებინა. რადგან ამ მიზანს მიაღწიეს, რადიკალები შეუდგებიან ქვეყნის ეკონომიურ აღორძინებას და გარეშე პოლიტიკის შეცვლას სერბიის ხალხის საუკუნოებით აღზრდილ გარდმოცემებთან შეთანხმებით.

სოფია. ოფიციალურ გაზეთ „ნოვ. ვეკ."-ში დაბეჭდილია მეთაური წერილი, რომელიც ენერგიულად მხარს უჭერს ბულგარიის პორტასთან დაახლოვებას და საჭიროდ მიაჩნია სტამბულოვის პროგრამის განახლება და ევოლიუციის საშუალებით პროგრესის გზაზედ დადგომა, წინააღმდეგ რევოლიუციისა.

ნაჩევიჩი გაემგზავრა სტამბოლს.

ოსმალები აძლიერებენ ჯარების რიცხვს განსაკუთრებით ფილიპოპოლის გზაზედ.

უკანვე გამოწვეული ნაჩევიჩი დაბრუნდა შუა გზიდგან.

მოსკოვი. რუმიანცევის მუზეუმის ეტნოგრაფიულ განყოფილების გასაფართოვებლად ხაზინამ გადასდო 2,400 მანეთი.

პარიჟი. დეპუტატთა პალატა. დელკასსემ შეიტანა წინადადება 600,000 ფრანკის სესხის ნებართვის შესახებ პრეზიდენტ ლუბეს ინგლისში მოგზაურობისა და ინგლისის მეფის პარიჟში მიღებაზედ დანახარჯთა დასაფარავად. ამ წინადადებაში ნაჩვენებია კეთილგანწყობილება საფრანგეთსა და ინგლისს შორის და აგრეთვე იტალიასა და საფრანგეთს შორის. სოციალისტი დეპუტატი პრესანსე, როგორც მომხსენებელი, ურჩევს პალატას ნება დართოს საჭირო სესხზედ, რადგან ეს ორივე მოგზაურობა მშვიდობიანობის დამყარების მიზნითაა გამოწვეულიო. დეტურნელი იწვევს მთავრობას რაც ძალი და ღონე შესწევს საერთო მშვიდობიანობას მხარი დაუჭიროს და შეუმდგომლობს სენატორებთანა და დეპუტატებთან,—ეცადნენ, რომ საერთაშორისო სამედიატორო სასამართლო შემოღებულ იქმნას; საფრანგეთმა უნდა მიჰბაძოს რუსეთს და სამხრეთ-ამერიკის რესპუბლიკების მაგალითს. დელკასეს წინადადება მიღებულ იქმნა ყველა 486 დამსწრე დეპუტატების მიერ.

ბელგრადი. მეფემ 3,000 დინარი უწყალობა სოფელ ცლნეს მცხოვრებთ, რომელნიც წყალ-დიდობისაგან დაზარალდნენ.—ივნისის 18-ს ახალ სასახლეში გაიმართება ნადიმი, რომელზედაც მიწვეულ არიან მთავრობისა, სკუპშჩინისა და სენატის წევრნი.—ივნისის 17-ს დასრულდა სენატის სესსია.—მეფის ტახტზედ ასვლის ცნობაზედ იტალიის მეფის პასუხში გამოთქმულია სურვილი, რომ ახალ მთავრობასთან ერთად სერბიაში მშვიდობიანობა და სამართლიანობა დამყარდეს.

ვენა. ჩეხთა განუწყვეტელ ობსტრუქციის გამო მინისტრი რეზეკი სამსახურიდგან გავიდა. სამხედრო მინისტრი ველსერსჰეიმიც აპირებს სამსახურიდგან გადადგომას, რადგან მის ნება-დაურთველად სამხედრო სამსახურის კანონთა შესახებ ბევრი რამ დაუთმეს უნგრეთსაო.

ბელგრადი. ოფიციალურ წყაროებიდან იუწყებიან, რომ იტალიის გაზეთებში დაბეჭდილი ცნობები სერბიის ფინანსთა გაჭირვებულ მდგომარეობის შესახებ—სიმართლეს მოკლებულია; იმ დღეს, როცა მეფე მოჰკლეს ფინანსთა სამინისტროს უმთავრეს კასსაში იყო ორი მილლიონი, ნაციონალურ ბანკში, მონოპოლიის გამგეობაში და განყოფილებებში—8 მილიონი. ცნობა, თითქო მეფე ალექსანდრეს ძალად აეღოს უკანასკნელად სესხიდან ავანსად თავისი ხვედრი ჯამაგირი—ბოროტი განზრახვით გამოწვეულ ყალბი ცნობაა.

პეტერბურგის ბირჟა, 13 ივნისს

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	93,80
ბერლინში 100 მარკაში	—
პარიჟში 100 ფრანკში	$37,32^{1}/_{2}$
ლონდონში ჩეკები	94,50
ბერლინში ,,	46,30
პარიჟში ,,	—
პარიჟის დისკონტი	5 - $6^{1}/_{2}$ %
5% სახელმწიფო რენტა	$98^{3}/_{8}$ მყიდ
4% სახ. სესხი 1902 წ.	$100^{7}/_{8}$ მყიდ.
4% გირავნ. ფურც სახელ. საადგ. მამულო ბანკის	$95^{1}/_{8}$ გაყ.
5%ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	441[illegible]/4 წვ. გაყ
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	339 წვ. გაყ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	$288^{3}/_{4}$ წვ. გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
$4^{1}/_{2}$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—
5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	—
$4^{1}/_{2}$% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა	—
6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ.	9600 წვ. გაყ.
აქციები ,, ,, ,,	—
,, კასპიის ამხანაგობისა.	—
,, ბაქოს ნავთის საზოგად.	
,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად.	185[illegible]/2 წვ. გაყ.

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

18 აპრილიდგან.

(ნაჩვენებია ტფილისის საათით.)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს:—1) სწრაფი მატარებელი № 1 დილის 10 ს. 37 წ. 2) საფოსტო № 3 საღამოს 6 ს. 18 წ. 3) სამგზავრო № 5 დილის 7 ს. 49 წ.

ბაქოს; 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე) ნაშუადღევის 4 ს. 24 წ.; 2) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 49 წ.; 3) სამგზავრო № 6 ღამის 11 ს. 32 წ.

ყარსსა და ერევანს: 1) საფოსტო № $74/_{73}$ ღამის 12 ს. 30 წ.; 2) სამგზავრო № $90/_{91}$ შუადღის 12 ს. 38 წ.

ბორჯომს: 1) სამგზავრო № $7/_{8}$ ნაშუადღევის 2 ს. 58 წ.; 2) სამგზავრო № $9/_{10}$ დილის 6 ს. 21 წ.

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 ღამის 11 ს. 22 წ.; 2) საფოსტო № 4 საღამოს 10 21 წ. 3) სამგზავრო № 6 დილის 10 ს. 37 წ.

გ) ბაქოდგან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე, პარასკეობით, მოსკოვიდან მომავალი) ღამის 4 ს. 40 წ. 2) საფოსტო № 3 საღამოს 10 ს. 16 წ.; 3) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 2 ს. 01 წ.

დ) ქუთაისიდგან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: ღამის 1 ს. 58 წ.; დღის 2 ს. 23 წ.

ბათუმისაკენ: ღამის 1 ს. 58 წ.; დღის 2 ს. 28 წ.; დღის 4 ს. 48 წ.

შორაპნისაკენ: დღის 3 ს. 8 წ.

განცხადება

ქუთაისში
ს. მ. ბ. თოფურიას
სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის** მფარველობის ქვეშე, 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

„GRAND PRIX"
PARIS 1900.
Т-во Высшей парфюмеріи
А. Ралле и К°
„Иванъ да Марья"

ახალი წიგნი

გამოვიდა და იყიდება ყველა ქართ. წიგნის მაღაზიებში.

სოსიკო მერკვილაძის მიერ გამოცემული ახალი წიგნები:

სიმღერა აკაკისა. ფასი		15 ,,
თამარ მეფის სურათი აკაკის ლექსით		6 ,,
პატარა ჩონგური ლექსი (დედა-ენა)		5 ,,
თამარ მეფე მოთხრობა აკაკისა		5 ,,
ვაჭრული ჭკუა, ლექსი აკაკისა		5 ,,
დათუნა გოცირიძე **როსტომ ერისთავი**	ძველებური ამბავი აკაკისა	5 ,
აბრამის და იობის ლექსი		3 ,,
ოქრუა (ხალხური ზღაპარი)		5 ,,
ორი ქოსატყუილა **ბიჭია მენახირე** **მეფე და სქვინჩა**	ხალხური ზღაპარი.	10 ,,

ვინც მოისურვებს ამ წიგნების ყიდვას ან დაბარებას, მიმართოს ტფილისში, ქვაშვეთის ქუჩაზე (ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ) არჯევანიძის სახ. **ანნა მერკვილაძის ქალთა ტანისამოსის სამკერვალო მაღაზიაში.**

ვინც თვითოეულ გამოცემას იყიდის არა ნაკლებ ერთი მანეთისა, **ყოველ მანეთზე დაეთმობა თითო აბაზი.**

ადრესი ფოსტისა: Тифлисъ, Георгіевская (Кашветская) ул., д. Аржеванидзе. № 12 модная мастерская Анны Мерквиладзе.

გამოვიდა და იყიდება ყველგან

„ქართვ. შორის წ.-კითხვის გამავრცელ. საზოგადოების" მიერ ახლად გამოცემული
წიგნი
ბარტეკ ძლევამოსილი
ჰენრიკ სენკევიჩისა
IV+106 გვ. ფასი 20 კაპ.

Дозволено цензурою. Тифлисъ. 18 іюня 1903 г. Типографія Гутенбергъ" (кн. Гр. Н. Діасамидзе). д. Груз. Дворянства. რედაქტორ-გამომცემელი ა. ი. ხარაზიშვილი.